ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## პატრიარქი იმედოვნებს, რომ 2011 წელი საქართველოს გამთლიანების წელი იქნება



ორშაბათი, 3 იანვარი, 2011 — №1 (5386) — ფასი: 30 თეთრი

# „ბურჯანაძისგან ლაჩრულად დისტანცირება სამარცხვინო საქციელია"

რას ხედავს გელა ნიკოლაიშვილი გაჩეჩილა ე — ბურჯანა ის სკანდალში



გვ.3

## ავთო მარგიანი: „რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალს თავისი ხელით დააბრუნებს"



გვ.6

## ნათელაშვილი მერაბიშვილს უნდობლობას უცხადებს



გვ.5

## საქართველოს ნატოში შესვლა რუსეთზეა დამოკიდებული



უკრაინამ ყველაზე მკაცრი სავიზო რეჟიმი ჩვენ დაგვიწესა

გვ.2

## დეპუტატების რაოდენობა ისევ გაიზრდება

გვ.4

რაში სჭირდება საქართველოს 200 დეპუტატი

## ბესელია ბურჯანაძის გაბრაზებას ელოდება



გვ.5




ISSN 1987-9385

**8** აკა მორჩილაძის „მამლუქი" 10.000-დ შეფასდა

**10** ლევან ცაგურია: არაფერს ვნანობ!

**2** მასწავლებლები სასწავლო ტურით დიდ ბრიტანეთში გაემგზავრნენ

**10** ქართულ კალათბურთში ტრანსფერის დრო დადგა

# საქართველოს ნატოში შესვლა რუსეთზეა დამოკიდებული

## უკრაინამ ყველაზე მკაცრი სავიზო რეჟიმი ჩვენ დაგვიწესა

ნათია ხურცილავა



ინტერვიუ პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით გასულ წელს, თუ გამოყოფთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს?***

— გასული წელი გახლდათ მორიგი მოლოდინებისა და იმედგაცრუებების წელიწადი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. რასაკვირველია, იყო ზოგიერთი გამონათების შესაძლებლობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა ხელიდან იქნა გაშვებული. გასული წელი უკრაინაში „სამხედრო დესანტის" გადასმით დაიწყო, რომლებსაც არჩევნებზე დამკვირვებლები დავარქვით და დავიმსახურეთ უკრაინის მოსახლეობის სერიოზული გაღიზიანება. ამ ადამიანების დამოკიდებულება რადიკალურად შევცვალეთ ჩვენი თანამემამულეების მიმართ, რაც აისახა სავიზო რეჟიმის გამკაცრებაზეც საქართველოს მოქალაქეებისათვის. ასევე ყველაზე მკაცრი სავიზო შემოწმების ობიექტიც ქართველები გახდნენ. შემდეგ მოვლენად გამოვყოფდი „მოდელირებულ ქრონიკას", რომელმაც ერთადერთი, რაც თავისი პროგნოზებიდან გაამართლა, იყო საქართველოს უდიდესი მეგობრის, პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავში აფეთქება. ამდენად, გასულ წელს რეალურად დავკარგეთ სერიოზული პოლიტიკური ლობი საერთაშორისო ასპარეზზე უკრაინისა და პოლონეთის სახით. ამიტომ მათ შემცვლელად მოძიებული ლუკაშენკო ნამდვილად ვერ იქნება საპირწონე. მისი მიმზიდველობა ჩვენი ხელისუფლებისათვის გახლავთ მხოლოდ ის, რომ ლუკაშენკო ვერასოდეს ისაუბრებს ქართული დემოკრატიის მიმართ პრეტენზიებით. რაც შეეხება სხვა საერთაშორისო მოვლენებს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი იყო ლისაბონის სამიტიც, ასტანის სამიტიც, მაგრამ, უნდა გავაცნობიეროთ, რა ხდებოდა ამ შეხვედრებზე. ჩვენი ხელისუფლების ტაქტიკა გასაგებია. სხვათა შორის, ის ძალიან ჰგავს რუსული ხელისუფლების ტაქტიკას, ნებისმიერი მოვლენა საერთაშორისო ასპარეზზე წარმოაჩინონ, როგორც საკუთარი დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება, განურჩევლად შედეგისა. მაშინ, როდესაც ლისაბონში ბატონი სარკოზი აცხადებდა ნატოსთვის სხვა ქვეყნის პრობლემების იმპორტის მიუღებლობაზე, საუბრობდა საქართველოს დარღვეულ საზღვრებზე, რა პირობებშიც მისი ნატოში მიღება გამორიცხულია. ეს იყო პირდაპირ ნატოს კარის გასაღების ჩადება რუსეთისთვის, სრულიად გამჭვირვალე გზავნილი. თუ რუსეთს სურს საქართველოს წევრობა ნატოში, მან უნდა გაიყვანოს თავისი ჯარი საქართველოდან და მოახდინოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში ნატოში ვერ შევა. მიუხედავად არაერთი განცხადებისა,ნატოს ქვეყნების მაღალჩინოსნებისა, რომ რუსეთს არავინ ეკითხება, ვინ შევა და გამოვა ნატოდან, საქართველო აღმოჩნდება სწორედ ის ქვეყანა, რომელიც ნატოს მიერ ხელდასხმული უფლებამოსილებით გადაეცა ამ საკითხის გადაწყვეტა რუსეთს. ჩვენ კი კმაყოფილი ვართ, რომ ამ დოკუმენტში სამჯერ ეწერა სიტყვა „საქართველო", რაც მიგვაჩნია გამარჯვებად. ახლა რაც შეეხება ასტანის სამიტს, დიდ სიამოვნებას მგვრიდა მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ყველა გამომსვლელის მზაობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და ის ზეწოლა, რომელიც სრულიად მკაფიო იყო რუსეთის, სრულიად უკმეხ, მე ვიტყოდი, ხულიგნურ საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებით. როგორც კი ბატონმა მედვედევმა საკუთარი თავი გააძევა ასტანის სამიტიდან, აღმოჩნდა, რომ ეს უზარმაზარი ორგანიზაცია სრულიად უსუსური და დაუცველია, ისევე, როგორც გაეროს უშიშროების საბჭო. მივიღეთ დოკუმენტი, სადაც ნიშანწყალი არ არის იმ პათოსისა და განწყობისა, რომელიც იყო ზოგადად სამიტის მიმდინარეობისას. სად არის აქ საქართველოს გამარჯვება?! ეს იყო გულის მოფხანის პროცედურა, მაგრამ, სადაც იყო პოლიტიკური ჩიხი, ის ისევ დარჩა.

***— თუმცა, გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, ეს იყო რუსეთისთვის მწარე აბი, რომლის გადაყლაპვაც მოუწევსო...***

— მწარე აბები ბატონმა ვაშაძემ თავად მიიღოს ყოველ საღამოს ვასიკო ოდიშვილისგან. რასაკვირველია, ეს იყო საჯაროდ გაწნული სილა რუსული პოლიტიკისთვის, მაგრამ ეს იყო ჰაერში უმისამართო გასროლა, რადგან არ დაფიქსირდა არც ერთი მსგავსი წინადადება ქაღალდზე. რაც შეეხება ეკონომიკას, კვლავ ქაოტურად იყო ორიენტირების მიმანიშნებელი კომპასი, რადგან ის დაქროდა ბრიუსელიდან სინგაპურისკენ, თურქეთიდან ირანისკენ. ბოლოს მოახერხა ის, რომ გზა გაკვალა მოსკოვიდან თეირანამდე ყოველგვარი ვიზის გარეშე ნებისმიერი კონტრაბანდული საქონლისათვის. ამავე დროს, ხელისუფლებამ შემოიტანა ცნება „ჩრდილო კავკასიელი" მოსახლეობისა, თითქოს, თუ ვინმეს გადმოსალახი აქვს ჩვენი საზღვარი, უვიზოდ არ შეუძლია მოიძიოს რაიმე ტიპის რეგისტრაცია ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე. ასევე ჩვენ მოწმენი გავხდით ბევრი საუბრისა იმაზე, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში გვსურს გადასვლა, მაგრამ არც ერთი ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადადგმულა. კვლავ არ სრულდება ევროკავშირის მოთხოვნა, რომ შეიცვალოს ველური შრომის კოდექსი, რომ აღდგეს ევროკავშირის მიერ მილიონობით ევროს დახარჯული პროექტი, რასაც ანტიმონოპოლიური სამსახური ჰქვია, რომ, ბოლოს და ბოლოს, ქართველმა ხალხმა თავად იგრძნოს და შემდეგ ევროპას დაუდასტუროს, რომ ქვეყანაში საკვების უსაფრთხოების დამცველი კანონმდებლობა, რომელიც სრულიად თავხედურად ჯერ 2011 წლისთვის იყო გადადებული ასამოქმედებლად, ახლა 2017 წლისთვის გადასწია ხალხზე მზრუნველმა ჩვენმა მთავრობამ, რაც ნიშნავს, რომ 2017 წლამდე არანაირი ქართული წარმოშობის პროდუქტს არ ექნება პერსპექტივა ევროპის ბაზარზე. ამას აკეთებენ მავნე პროდუქტის შემოსატანად იმპორტის სახით, რომელიც ბევრად უფრო მომგებიანია და ბევრად უფრო სწრაფია ფულის ამოღების კუთხით.

***— თქვენ ისაუბრეთ ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. რაც შეეხება ოპოზიციას, ერთგვარი კომპრომატების ომი კულმინაციას აღწევს. როგორ აფასებთ ამ პოლიტიკურ მოვლენებს?***

— ნათქვამია, თავს ზემოთ ძალა არ არისო. ამ რეჟიმში მოღვაწე პოლიტიკურ პარტიათა გარკვეულმა რაოდენობამ, როგორც ჩანს, ვერ მოიძია იმდენი რესურსი საკუთარ თავში, რომ დამოუკიდებლად გამკლავებოდა შექმნილ სიტუაციას. არ არის მარტივი, რომ იყო ოპოზიციური პარტიის ლიდერი, სადაც ოპოზიციის მიმართ სრულიად მკაფიო მტრული დამოკიდებულებაა ხელისუფლებისგან სხვადასხვა მზაკვრული ტექნოლოგიის გამოყენებით. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური კულტურა, როგორც ჩანს, არ არის უკეთესი მოლოდინის შემძლე. ამიტომ, ვფიქრობ, დადგა დრო ოპოზიციაში ახალი სისხლის შემოდინებისა. სისხლს პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გავიგებთ. ამის ნიშნები აქა-იქ არის. როგორც ჩანს, ქართული ინდივიდუალიზმი გენეტიკურად მიუღებელია კონსოლიდაციისათვის პოლიტიურ სივრცეში. იყო ამის მცდელობა 2009 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, მოგვიანებით თითქოს დაიწყო „სახალხო კრების" პირობებში, თუმცა, როგორც ჩანს, ერთმანეთზე აუგის თქმა გახლავთ გარკვეული ტიპის მოთხოვნილება.

***— ვისი მხრიდან?***

— არა აქვს მნიშვნელობა სახელებსა და გვარებს იმ პოლიტიკოსებისა, რომლებსაც საკუთარი წარუმატებლობის აღიარება უჭირთ და ყოველთვის სხვაგან ეძებენ დამნაშავეს.

***— ბატონო სოსო, მთელი ამ პროცესის მიზეზი საკუთარი წარუმატებლობის აუღიარებლობაა თუ უფრო ღრმად არის პრობლემა?***

— ჯერ კიდევ მძიმედ ატყვია კვალი ჩვენს ოპოზიციას ხელოვნური გაერთიანებისა 2009 წლის გაზაფხულზე. ერთიანობის იდეა აფრთხობს ყველას. როგორც ჩანს, გულწრფელობის ხარისხი ამ გაერთიანებისა იმდენად დაბალი იყო, რომ ზოგადად გაერთიანების იდეა დისკრედიტირებულია. არის მოვლენები, რომლებიც თითქოსდა სწორ ადგილას წარმოიშვება, მაგრამ შემდეგ მათი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ სერიოზულ გავლენას ახდენს მთლიანად პროცესებზე. ახლა სწორედ ასეთი საინტერესო პროცესის მოწმენი ვართ, ცხადია, არცთუ სასიამოვნოსი, მაგრამ, თუ ქართველი საზოგადოება გულგრილი დარჩება პროცესების მიმართ, მაშინ თავის თავს უნდა დააბრალოს და არა პოლიტიკურ ძალებს, რადგან საზოგადოების ინდიფერენტულობა ერთ-ერთი შემადგენელია, რასაც დაბალი პოლიტიკური კულტურა ჰქვია. ეს მხოლოდ პოლიტიკოსების თავსატეხი არ უნდა იყოს.

***— ანუ საზოგადოებამ გაკვეთილად უნდა მიიღოს ეს პროცესი?***

— ეს არის პროცესი, რომლის გაუანალიზებლობა საზოგადოებისთვის იქნება დაკარგული შანსი წინსვლისთვის.

# მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში გიგანტური აჭარული ხაჭაპური დააგემოვნა



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში გიგანტური აჭარული ხაჭაპური დააგემოვნა. პრეზიდენტმა აჭარული ღვინო და აჭარული ტრადიციული კერძებიც გასინჯა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მომავალი წლიდან ბათუმში მშენებლობა გაცილებით მასშტაბურად გაგრძელდება.

— აქამდე ბათუმში ვაშენებდით 20-30 მეტრის სიმაღლის შენობებს, მომავალი წლიდან 40, 50, 60 მეტრს ავაშენებთ. ვიწყებთ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობას, რომელიც ახალ ტექნოლოგიებზე საქართველოს პასუხი იქნება, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, მაღალმთიან აჭარაში დაგეგმილია სათხილამურო კურორტების მშენებლობაც.

— ხულოში იწყება კურორტის მშენებლობა და დავიწყებთ ასევე ადიგენისა და ხულოს შემაერთებელი მაგისტრალის მშენებლობას, რაც ნიშნავს, რომ გავზრდით ტურისტულ პოტენციალს და შევქმნით ახალ სამუშაო ადგილებს, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა გუშინ ბათუმს თვითმფრინავითაც გადაუფრინა. თვითმფრინავს მიხეილ სააკაშვილი თავად მართავდა.

**ინტერპრესნიუსი**

# მასწავლებლები სასწავლო ტურით დიდ ბრიტანეთში გაემგზავრნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, მათემატიკის 10 და ინგლისური ენის 5 მასწავლებელი სასწავლო ტურით დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა.

აეროპორტში პედაგოგებთან ერთად მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე იმყოფებოდა. მასწავლებლები "ნიუ კოლეჯ ნოთინგემში" პროფესიულ ორკვირიან ტრენინგს გაივლიან.

„ნიუ კოლეჯ ნოთინგემი" დიდი ბრიტანეთის კოლეჯების ერთ-ერთი უდიდესი სისტემაა, რომელიც პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული. ქართველი პედაგოგები ნოთინგემში საგნის სწავლების მეთოდიკისა და ინგლისური ენის გაძლიერებულ კურსს დაესწრებიან. დაგეგმილია სემინარები და სამუშაო შეხვედრები ნიუ კოლეჯის პროფესურასთან. ლონდონში, კაპლანის საერთაშორისო კოლეჯში შედგება შეხვედრა ადგილობრივ პედაგოგებთან, რომლებიც სტუმრებს თავის გამოცდილებას გაუზიარებენ.

ქართველი მასწავლებლები დიდი ბრიტანეთის სკოლებსაც ეწვევიან, დაესწრებიან გაკვეთილებს, გაეცნობიან სასწავლო გეგმებსა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

კურსის დასასრულს, პედაგოგებს გადაეცემათ სახელმძღვანელოები და სასწავლო-მეთოდური მასალა.

**ინტერპრესნიუსი**

# დიმიტრი შაშკინმა დამსახურებულ პედაგოგს ახალი წელი მიულოცა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მე-10 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს ქეთევან დოლიძეს სახლში ეწვია, ახალი წელი მიულოცა და საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი გადასცა.



ქეთევან დოლიძე თითქმის 50 წელია სკოლაში მოღვაწეობს, იგი სწავლების ნოვატორული მეთოდების დანერგვისთვის ორჯერ ქალაქის წლის საუკეთესო პედაგოგად იყო დასახელებული, იყო ჩართული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები გამოცდების კომისიებში, 2001 წელს აირჩიეს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებულ წევრად, 2004 წელს ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მიერ იქნა გრანტირებული, მის შესახებ არაერთგზის იბეჭდებოდა გაზეთებში, 2010 წელს მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, თბილისის მერიამ "ბავშვთა აღზრდისა და განვითარების საქმეში განსაკუთრებული წვლილისთვის" მედლითა და სიგელით დააჯილდოვა.

ქეთევან დოლიძე დღესაც აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. სიახლეების მიმდევარი პედაგოგი თავადაც მუდმივ ძიებაშია, იგი განსაკუთრებით მინისტრის საჩუქარმა გაახარა. როგორც მან აღნიშნა, პერსონალური კომპიუტერი განათლების სფეროში მსოფლიო გამოცდილების გაზიარებასა და სიახლეების გაცნობაში დაეხმარება.

დიმიტრი შაშკინმა მადლობა გადაუხადა დამსახურებულ მასწავლებელს ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, დიდხანს სიცოცხლე უსურვა და აღნიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია მუდამ გვახსოვდეს და პატივს ვცემდეთ ღირსეულ პედაგოგებს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.**
**ტელეფონი/ფაქსი 95-25-89**
**ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## კახა ბექაური ეროსი კიწმარიშვილს ტყუილის თქმაში ადანაშაულებს





ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალური დირექტორი კახა ბექაური „ქართული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს ეროსი კიწმარიშვილს ტყუილის თქმაში ადანაშაულებს.

როგორც ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე ბექაურმა განაცხადა, ეროსი კიწმარიშვილს ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა სურდა, თუმცა „ქართული პარტიის“ ლიდერის მოთხოვნებს იგი არ ასრულებდა. ბექაურის თქმით, კიწმარიშვილმა „მაესტროზე“ გავლენის მოსაპოვებლად მას „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ გენერალური დირექტორობაც კი შესთავაზა, რაზედაც უარი მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ეროსი კიწმარიშვილმა უარყო ბექაურის ბრალდებები და განაცხადა, რომ იგი ტელეკომპანია „მაესტროს“ სარედაქციო პოლიტიკაში არასდროს ჩარეულა.

**მედიანიუსი**

## საქართველოს პრეზიდენტმა საახალწლოდ 407 მსჯავრდებული შეიწყალა



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საახალწლოდ 407 მსჯავრდებული შეიწყალა.

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ განაცხადა, , სრული შეწყალება 339 მსჯავრდებულს შეეხო, ოთხს პირობითი სასჯელი მოეხსნა, 59-ს სასჯელის ვადა გაუნახევრდა, ექვს კი კი ვადა შეუმცირდა. შეწყალებულთა შორის ერთი არასრულწლოვანი და 16 ქალია.

კალმახელიძის თქმით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მზადა დაუყოვნებლივ განახორციელოს ყველა ღონისძიება შეწყალებულთა გასათავისუფლებლად, რათა ისინი ახალ წელს ოჯახებში შეხვდნენ.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ალასანია ახალ წელს სოფელ ზემო ნიქოზში შეხვდა



„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ახალ წელს სოფელ ზემო ნიქოზში, ცხინვალიდან ერთ კილომეტრში, ლევან გოცირიძის ოჯახში შეხვდა.

ალასანიამ ახალი წელი საგუშაგოზე ქართველ სამხედროებს უფროს შვილთან და თანაპარტიელებთან ერთად მიულოცა.

— ეს არის ის ადგილი, სადაც ყველაზე მეტად უჭირთ; ნიქოზიდან ახალი წელი მინდა მთელ საქართველოს მივულოცო, ვუსურვო, პირველ რიგში მშვიდობა და იმედი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა იქნება გამთლიანებული ძალიან მალე. ჩვენმა მოქალაქეებმა გაერთიანების იმედი არ უნდა დაკარგონ, —- განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

**ინტერპრესნიუსი**

## ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა 2011 წლის 1-ლი იანვრიდან უნგრეთია

ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა 2011 წლის 1-ლი იანვრიდან უნგრეთია.

უნგრეთმა ევროსაბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე ბელგია ჩაანაცვლა. ბუდაპეშტის ევროსაბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში ევროსაბჭოს 2014-2020 წლების ბიუჯეტი განიხილება.

უნგრეთი ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა მომავალი 6 თვის განმავლობაში იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

## იტალიაში ახალი წლის ღამეს ფოიერვერკებისგან 500-მდე ადამიანი დაშავდა

იტალიაში, ახალი წლის ღამეს, რეტარდებისა და ფოიერვერკების გაშვებისას 500-მდე ადამიანი დაშავდა, - ამის შესახებ სააგენტო „რია ნოვოსტი“ იუწყება.

პოლიციის ცნობით, დაშავებულთა შორის 12-წლამდე ასაკის 68 ბავშვია, 59 კი მოზარდი. 44-ადამიანი სერიოზულად დაიჭრა და მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოებში იმყოფებიან. ყველაზე მეტი ადამიანი ახალი წლის ღამეს იტალიის ქალაქ ნეაპოლში დაიჭრა, მათმა რაოდენობამ 69 შეადგინა.

ხსენებული მიზეზით ქალაქ კრისპანოში ერთი ადამიანი დაიღუპა. მას ბრმა ტყვია მოხვდა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. ტურინიდან ნეაპოლში ჩასულ ტურისტს, რომელიც საცოლესთან ერთად ქალაქის ქუჩაში სეირნობდა, ბრმა ტყვია სახეში მოხვდა. საავადმყოფოში სამედიცინო შემოწმებისას დაზარალებულმა მოულოდნელად დააცემინა, რის შედეგადაც ტყვია ჭრილობიდან თავისით გადმოვარდა.

**ინტერპრესნიუსი**

## 2010 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით 57 ჟურნალისტი მოკლეს

2010 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით, 57 ჟურნალისტი მოკლეს. ამის შესახებ საერთაშორის ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ ანგარიშშია ნათქვამი.

ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ჟურნალისტებისთვის ყველაზე საშიში აზიის კონტინენტია, სადაც 2010 წელს 20 ჟურნალისტი მოკლეს, მათ შორის 11 პაკისტანში. ამასთან, 2010 წლის განმავლობაში 51 ჟურნალისტი გაიტაცეს (2009 წელს 33). ორგანიზაციის ანაგრიშის მიხედვით ჟურნალისტებს ყველაზე ხშირად ნიგერიასა და ავღანეთში იტაცებდნენ.

2010 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით, ჟურნალისტებს 1,374-ჯერ დაესხნენ თავს - 535 დანაშაული გამოძიებული იქნა. 23 ქვეყნიდან პოლიტიკური დევნის გამო 127 ჟურნალისტი გაიქცა. ყველაზე ხშირად ჟურნალისტები ირანს ტოვებენ 2010 წელს ირანიდან პოლიტიკური დევნის გამო 20 ჟურნალისტი გაიქცა.

**მედიანიუსი**

# „ბურჯანაძისგან ლაჩრულად დისტანცირება სამარცხვინო საქციელია“

შორენა კოწოწაშვილი



**არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ წევრი გელა ნიკოლაიშვილი უკმაყოფილებას ვერ მალავს იმ აჟიოტაჟით, რომელიც ოპოზიციაშია ატეხილი.**

**რა დაადასტურეს დათო უსუფაშვილმა და გოგა ხაინდრავამ და რამდენად იკვეთება ხელისუფლების ხრიკები ბიწაძის სკანდალურ ინფორმაციაში? ამ საკითხების ირგვლივ „ახალ თაობას“ გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრა.**

*— ბატონო გელა, მართლა ისე წარმატებული იყო ქვეყნისთვის გასული წელი, როგორც ეს ხელისუფლებამ წარმოაჩინა?*

— ეს წელი ხელისუფლებისთვის იყო მართლაც წარმატებული. შეიძლება ითქვას, ძალიან წარმატებულიც. ხოლო საზოგადოებისთვის იყო ძალიან წარუმატებელი. გამომდინარე იქიდან, რომ ხელისუფლებამ ამ წელს ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საკუთარი უფლებები მაქსიმალურად გაეზარდა, ხოლო პიროვნების უფლებები შეიზღუდა. მაგალითად, პოლიციელებმა მიიღეს ე.წ. გონივრული ეჭვის საფუძველზე პიროვნების ჩხრეკისა და გაჩერების უფლება. ჯარიმები გაიზარდა ორმაგად, სამმაგად და ზოგ შემთხვევაში — ათმაგად. შემოიღეს ახალი ტიპის ჯარიმები, ვითომ მოქალაქეებზე ზრუნვით დაღლილებმა. თუნდაც უსაფრთხოების ღვედების არშემოჭერით საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებისთვის, თურმე ჩვენზე უფრო მეტად ზრუნავს ხელისუფლება და ამისთვის 40 ლარიან ჯარიმას გვიწესებს. ასევე ახალი სს საპროცესო კოდექსით დაწესებული ჯარიმები, რომლებიც 50-დან 500 ლარამდე იყო დაწესებული სასამართლოში წესრიგის დარღვევისთვის, გაიზარდა 500-დან 5.000 ლარამდე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ წყლის და ნაგვის გადასახადი, საერთოდ, კომუნალური მომსახურება გაიზარდა. გაძვირდა ტრანსპორტი. იქამდეც კი მივედით, რომ 15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა ამ ხელისუფლებამ ჯერ 30 დღემდე გაზარდა, შემდეგ — 90 დღემდე.

მოკლედ თუ შევაფასებთ, ეს იყო ხელისუფლების უფლებების უპრეცედენტოდ გაზრდის, ლეგიტიმაციის, უკანონობის დაკანონების წელი, როდესაც ხელისუფლება მოემზადა, რომ 2012 წლის არჩევნებისთვის ჰქონდეს ყველანაირი ბერკეტი, რომ ძალადობით და დაშინებით შეინარჩუნოს ხელისუფლება.

***— ოპოზიციამ რატომ ვერ შეძლო შედეგიანი ბრძოლის წარმართვა?***

— ის ფაქტი, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ რეალური წარმატების მიღწევა ვერ მოხერხდა, პირველ რიგში, ოპოზიციის ბრალია, მაგრამ არა მხოლოდ ოპოზიციის. საზოგადოებაც არ აღმოჩნდა მზად იმისთვის, რომ თუნდაც ოპოზიცია ეიძულებინა, გარკვეულ ნაბიჯებზე წასულიყო. მთავარი მომენტი არის ის, რომ დასავლეთი, რომელიც სააკაშვილს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევდა, დღეს ვეღარ ახერხებს, სტრატეგიული ინტერესების გამო, ამ ანტიდემოკრატიულ რეჟიმს თავისი სახელი დაარქვას. ეს ყველაფერი იყო შემაფერხებელი ანუ საზოგადოების წინააღმდეგობის ბარიერი და ხელისუფლების გაძლიერების მასტიმულირებელი. აი, ეს არის ძირითადი მიზეზები. რა თქმა უნდა, ოპოზიციაში არ აღმოჩნდა ასევე პიროვნება, რომელიც გადადგამდა რისკიან ნაბიჯს, თავის თავზე აიღებდა პასუხისმგებლობას და საზოგადოებას წაიყვანდა ან ერთი, ან მეორე მიმართულებით. დავით უსუფაშვილმა სავსებით სამართლიანად თქვა: ან უნდა წავსულიყავით იმ გზით, რომელსაც ერქვა მასობრივი ეროვნული დაუმორჩილებლობა და ამისთვის 200-300 ათასი ადამიანი მზად იყო; ან მეორე გზით, რომ ხელისუფლებას დაეთმო ხელისუფლების ის ნაწილი, რომლისთვისაც ის მზადყოფნას აცხადებდა, სთავაზობდა სხვადასხვა თანამდებობებს და რეალურად უყოფდა ხელისუფლებას; და ამ გზით ნელ-ნელა მოეხდინათ ხელისუფლების კონტროლი. არც ერთი ამ გზით წამსვლელი, თავის თავზე ამღები, პასუხისმგებლიანი ოპოზიციონერი არ აღმოჩნდა, არც გაჩეჩილაძე და არც იმ 10-12 სუბიექტისგან შემდგარი ეროვნული საბჭოს რომელიმე ლიდერი, რომელიც მაშინ მართავდა ამ პროცესს.

***— რას იტყვით ბურჯანაძე — გაჩეჩილაძის დაპირისპირებაზე და იმ სკანდალურ ინფორმაციაზე, რომლის წყაროდაც ბადრი ბიწაძე დასახელდა?***

— სამწუხაროდ, დღევანდელი პროცესები მაგონებს ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესებს, როდესაც მთავარი სამიზნე ხელისუფლებისთვის იყო პატარკაციშვილი. მასთან გაკარება უნდოდათ სამარცხვინოდ და საშიშად წარმოეჩინათ ყველასთვის, განსაკუთრებით, ოპოზიციონერისთვის. ყველას გვახსოვს, როგორ თანდათან ჩამოსცილდნენ ეს ოპოზიციონერები. ყველა განზე გადგა და პატარკაციშვილისგან დისტანცირება მოახდინა. ეს პროცესები მაგონებს დღეს იმას, რაც მიმდინარეობს ბურჯანაძის წინააღმდეგ. მე არ ვარ არც ბურჯანაძის და არც სხვა რომელიმე პოლიტიკოსის აპოლოგეტი. მე მათ პლუსებსაც ვხედავ და მინუსებსაც, მათ შორის ბურჯანაძისაც. ვხედავ იმასაც, რაც მათ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაუშავებიათ. მაგრამ დღეს ასე ერთიანად დარაზმვა და ასე ლაჩრულად მისგან დისტანცირება ძალიან სამარცხვინო საქციელია და ხელისუფლების თამაშში ნებსით თუ უნებლიეთ ჩართვა.



**რას ხედავს გელა ნიკოლაიშვილი გაჩეჩილაძე — ბურჯანაძის სკანდალში**

ის, რაც თქვა ბურჯანაძემ, რომ იყო მოლაპარაკება, ესწრებოდა ოთხი ლიდერი — ბურჯანაძე, სააკაშვილი, უსუფაშვილი და გაჩეჩილაძე და რომ იქ საუბარი იყო იმ თემებზე, რომელთაც ის ასახელებს, დაადასტურეს უსუფაშვილმაც და გაჩეჩილაძემაც. ის ფაქტიც, რომ შემდეგ შედგა ცალკე შეხვედრა სააკაშვილსა და გაჩეჩილაძეს შორის, დაადასტურა გაჩეჩილაძემ და ამასაც არავინ უარყოფს. ასე რომ, მიკვირს, როდესაც ასე მწვავედ და არაადექვატურად ხდება შეფასება იმისა, რასაც ბურჯანაძე ამბობს. ის ამბობს, მე არ დამინახავს, გაჩეჩილაძეს სააკაშვილისგან ფული რომ მიელო. მე ამას ვერ დავამტკიცებ, მაგრამ გადმოგცემთ იმ ფაქტებს, რაც მე ვნახე და ეს ფაქტები რეალურად არის მომხდარიო. სხვა საქმეა, როგორ ინტერპრეტაციას მისცემ. უსუფაშვილი ამას სხვა შეფასებას აძლევს, გაჩეჩილაძე — სხვას, მაგრამ ფაქტი ხომ მოხდა.

***— ითქვა, რომ ჯონ ტეფტმა გაჩეჩილაძეს უთხრა, პრეზიდენტი ვერ გახდები, მაგრამ კომპენსაციას მიიღებო.***

— დავიწყებ იმით, რომ ოპოზიციას უნდოდა გამარჯვება, მაგრამ როდესაც სააკაშვილმა მილოცვა მიიღო პუტინისგან და ბუშისგან, მათ ჩამოუშვეს ხელები, ფარ-ხმალი დაყარეს და დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ ამ აგორებული ტალღიდან, სადაც ამდენი შრომა ჰქონდათ ჩადებული, რაღაც სარგებელი მაინც მიეღოთ. აქ არ არის საუბარი მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძეზე. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ არც 20 იანვარს დაიძრა ხალხი იპოდრომიდან და ამიტომაც მისცა მან სააკაშვილს პირობა, რომ ხალხს არ დასძრავდნენ. ამიტომაც იყო შემდეგ შეთავაზებებზე ვაჭრობა. ეს იყო ოფიციალური ვაჭრობა და არა — დამალული.

***— სერიოზულად დააზარალებს ოპოზიციურ ფლანგს ის სკანდალური ინფორმაცია, რომელიც სააკაშვილის და გაჩეჩილაძის შეხვედრას ეხება?***

— რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია დააზარალებს ოპოზიციურ ფლანგს. ის ცუდ დროს გაჟღერდა. საერთოდაც, ნებისმიერ დროს ცუდი იქნებოდა ამის გაჟღერება. მე აქ ხელისუფლების ხრიკებსაც ვხედავ. მე არ ვამბობ, რომ ვილაცას დაავალეს მათ, მაგრამ მათ აქვთ იმის საშუალება, რომ არაპირდაპირ ვილაცებს შეუქმნან ისეთი სიტუაცია, როდესაც გამოიწვევენ და ათქმევინებენ ამას.

***— სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები რამდენად იკვეთება ამ სკანდალურ ინფორმაციაში იგივე სააკაშვილის მხრიდან?***

— სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები ამ ყველაფერში, რა თქმა უნდა, არის და, პირველ რიგში, ხელისუფლების მხრიდან. სააკაშვილის მხრიდან, რომელიც მოქრთამვას არ ერიდებოდა და, ფაქტობრივად, თავისი თანამდებობის ყიდვას აპირებდა. მაგრამ მთლიანობაში, ზოგადად შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ოპოზიციურ ფლანგს მიადგა ძალიან დიდი ზიანი. ვინ მოიგო ამით? — ამით მოიგო ხელისუფლებამ და ამიტომაც ვფიქრობ, რომ ხელისუფლების ინტრიგები და ხრიკები ძალიან დიდი დოზით არის ამ ყველაფერში ჩადებული. თუმცა, მე რასაც ახლა ვხედავ, რომ ისე გამოიყვანონ, თითქოს ნინო ბურჯანაძე კეთროვანია და მის მიმართ რაღაც დისტანცირება მოვახდინოთ, ეს არის არასწორი. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, ოპოზიცია წააგებს არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ, პირველ რიგში, მორალურად.

# პატრიარქი იმედოვნებს, რომ 2011 წელი საქართველოს გამთლიანების წელი იქნება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა იმედოვნებს, რომ 2011 წელი საქართველოს გამთლიანების წელი იქნება.

ამის შესახებ პატრიარქმა გუშინ, სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

— ღმერთმა ინებოს, რომ ეს ახალი წელი იყოს მშვიდობიანი. ეს წელი იყოს საქართველოს გამთლიანების წელი. ღმერთმა ინებოს, რომ ყველა გაჭირვებულმა ადამიანმა იგრძნოს შვება და ღვთის წყალობა, — ბრძანა პატრიარქმა და აღნიშნა, რომ თითოეულმა ადამიანმა მომავალს იმედით უნდა უყუროს.

უწმინდესს მიაჩნია, რომ აუცილებელია ყველამ იფიქროს ბევრი და უსმინოს სხვა ადამიანების აზრს და იკითხოს ბევრი. პატრიარქის განცხადებით, ასევე აუცილებელია შრომა. მისი თქმით, ხშირად ადამიანები ვარდებიან სასოწარკვეთილებაში, რადგან არ იციან თუ როგორ უნდა მოძებნონ გამოსავალი.

პატრიარქმა ასევე ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ მშობლები ხშირად თავიანთ შვილებს მზამზარეულს აწვდიან ყველაფერს და შვილებმა არ იციან თუ საიდან და როგორ აკეთებენ მშობლები მათთვის.

ილია მეორემ მოსმენის კულტურის აუცილებლობაზეც ისაუბრა. „მოსმენის კულტურა უნდა ჰქონდეს ყველას პატრიარქს, პრეზიდენტს, მთავრობას“, - ბრძანა უწმინდესმა ქადაგებისას. პატრიარქის განცხადებით, ადამიანებმა აუცილებლად უნდა მოისმინონ და გაითვალისწინონ სხვისი აზრი.

— სწორხაზოვანი აზროვნება ძალიან საშიშია, — დასძინა ილია მეორემ.

**ინტერპრესნიუსი**

# პატრიარქი ციხეებში არსებულ მძიმე ჰიგიენურ მდგომარეობაზე წუხს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ციხეებში არსებულ მძიმე ჰიგიენურ მდგომარეობაზე ისაუბრა.

როგორც პატრიარქმა გუშინ, საკვირაო ქადაგებისას აღნიშნა, საქართველოს ციხეებში ჰიგიენური კუთხით საშინელი მდგომარეობაა.

— ჩვენს ციხეებში საშინელება ხდება. იქ არ არის პირობები, რომ პატიმრებმა სისუფთავე დაიცვან, — ბრძანა პატრიარქმა და დასძინა, რომ უსუფთაობიდან გამომდინარე პატიმრები ხშირად ავადდებიან ტუბერკულოზით, რომელიც შემდეგ მათი ოჯახის წევრებზეც გადადის.

უწმინდესი ყველას მოუწოდებს, დაიცვან სისუფთავე. პატრიარქის განცხადებით, რამდენიმე წლის წინ საქართველოში უცხოეთიდან ჩამოსული იყო სპეციალისტი ტუბერკულოზის ცენტრიდან, რომელმაც მასთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ თუ საქართველო დროულად არ მიხედავს ამ პრობლემას, ქვეყანაში შესაძლოა ტუბერკულოზის ეპიდემია დაიწყოს. **ინტერპრესნიუსი**

# სოფელ მუხურაში მცხოვრები ნატა ბოჭორიშვილი 100 წლის გახდა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურაში მცხოვრები ნატა ბოჭორიშვილი 1-ელ იანვარს 100 წლის გახდა.

იუბილარს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ქათამაძე და გამგებელი ლევან დოხნაძე ადგილობრივ მედიასთან ერთად ესტუმრნენ, საუკუნის ქალბატონს იუბილე მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

ქალბატონი ნატა მათმა სტუმრობამ ძალიან გაახარა, ისინი დალოცა და სრულიად საქართველოს ახალი წელი მიულოცა. 100 წლის ქალბატონს სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი და ათი შვილთაშვილი ჰყავს.

**ინტერპრესნიუსი**

# არნოლდ შვარცენეგერი გუბერნატორის თანამდებობას ტოვებს და მემუარების წერას აპირებს

არნოლდ შვარცენეგერი კალიფორნიის გუბერნატორის თანამდებობას დღეს დატოვებს. ბრიტანული ტელე-რადიოკორპორაცია „ბი-ბი-სის“ ცნობით, ამ თანამდებობას ახალი გუბერნატორი, „დემოკრატი“ ჯერი ბრაუნი დაიკავებს.

უცხოური სააგენტოები ასევე წერენ, რომ ყოფილი გუბერნატორი ავტობიოგრაფიული ნაშრომის დაწერასაც გეგმავს. „რესპუბლიკური პარტიის“ წევრმა და კინომსახიობმა არონლდ შვარცენეგერმა გუბერნატორის თანამდებობა შვიდი წლის წინ დაიკავა.

**ინტერპრესნიუსი**

# ეგვიპტეში ქრისტიანული ეკლესიების დაცვა გამკაცრდა

ეგვიპტის ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიებთან დაცვის ზომები გაამკაცრა.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, დღეიდან ეკლესიების ირგვლივ განლაგებულია შეიარაღებული დაცვა და პოლიცია. ქვეყნის ზოგიერთ ტერიტორიაზე კი, მთავარ გზებზე საკონტროლო-გამშვები პუნქტები განათავსეს.

ეს გადაწყვეტილება ალექსანდრიაში ქრისტიანულ ტაძარში განხორციელებულ ტერაქტს უკავშირდება, რასაც 20 ადამიანი ემსხვერპლა.

**ინტერპრესნიუსი**

# სამარაში ყავისფერი თოვლი მოვიდა

სამარაში ყავისფერი თოვლი მოვიდა. „ვესტის“ ცნობით, ეკოლოგებმა თოვლის ექსპერტიზა განახორციელეს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ არის. როგორც საგანგებო სიტუაციების სამმართველოს პრესსამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, ყავისფერი თოვლი ყაზახეთში ქვიშის ქარბუქის შედეგია.

მსგავსი მოვლენა 2009 წელს ამურის ოლქშიც დაფიქსირდა, როცა მონღოლეთში ქვიშიანი ქარბუქის შედეგად ყვითელი ფერის თოვლი მოვიდა.

**ინტერპრესნიუსი**

# დეპუტატების რაოდენობა ისევ გაიზრდება

**პარლამენტის წევრთა რაოდენობა შესაძლოა 200-მდე გაიზარდოს. ამის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა, დეპუტატთა რიცხვის გაზრდა აქტიურად განიხილება.**

**კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა, მმართველი ფრაქციის ზოგიერთი წევრის გარდა, ოპოზიციის ნაწილსაც ხიბლავს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის წევრთა რაოდენობა გაიზრდება, ეს მომავალ პარლამენტს შეეხება.**

**დეპუტატთა რაოდენობის შემცირება მოსახლეობამ რეფერენდუმის გზით მოახდინა. სწორედ ამ რეფერენდუმის შედეგად მოხდა, რომ 235-წევრიანი პარლამენტი 150-მდე შემცირდა.**

**პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდას კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა სჭირდება. ეს კი ამ პარლამენტმა უნდა განახორციელოს.**




**ნანა მიშელაშვილი**

საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას არ ეთანხმება. მათი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ მაჟორიტარ დეპუტატთა რაოდენობა გაიზრდება, ეს ხელისუფლებისთვის დამატებითი მანდატები იქნება.

ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ ხელისუფლება სხვადასხვა რაიონებში იმ კანდიდატებს აყენებს, ვისაც ბიზნესი აქვს და ხელისუფლების მხრიდან არის მართული. ოპოზიციის აზრით, ასეთი მაჟორიტარები ხელისუფლების წინააღმდეგ ხმას არ იღებენ და ყველაფერში ეთანხმებიან.

ოპოზიცია იმასაც ამბობს, რომ ყველაზე მეტად მაჟორიტართა რაოდენობის გაზრდა ნაციონალური მოძრაობის წევრებს აწყობთ, რადგან ისინი არჩევნებში წინასწარი ფორით მიდიან.

პარლამენტის წევრთა რაოდენობის 200-მდე გაზრდას ამ ეტაპზე ღიად არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ უჭერს მხარს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას მომხრეები არა ჰყავს.

მომავალი პარლამენტი ქუთაისში იმუშავებს. ამ სიახლეს შესაძლოა ისიც დაემატოს, რომ პარლამენტი უფრო მრავალრიცხოვანი იქნება. თუ დეპუტატთა რაოდენობა გაიზრდება, ეს ბიუჯეტს უფრო მეტი თანხა დაუჯდება, ვიდრე ამ პარლამენტის შემთხვევაში ხდება.

პარლამენტში ახლა 150 დეპუტატი მუშაობს, რომლებიც სხვადასხვა კომიტეტსა და ფრაქციაში არიან გაერთიანებული. კომიტეტებსა და ფრაქციებს თავიანთი აპარატი ჰყავს, რომელიც პარლამენტის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

თუ დეპუტატთა რაოდენობა 50 წევრით გაიზრდება და 200 გახდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შესანახად დამატებითი თანხები უნდა გამოიყოს.

დეპუტატთა რაოდენობის გაზრდაზე მსჯელობა იმ ჯგუფს მოუწევს, რომელიც საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე მუშაობს.

საარჩევნო კოდექსზე ოპოზიციური პარტიების ნაწილი და ხელისუფლების წარმომადგენლები მუშაობენ. როგორც ამბობენ, დეპუტატთა რაოდენობის გაზრდის საკითხი ამ ჯგუფის შიგნით უკვე გაჟღერდა, თუმცა, ამ საკითხზე რაიმე გადაწყვეტილება მიღებული ჯერჯერობით არ არის.

გაიზრდება თუ არა დეპუტატთა რაოდენობა? ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება ამ ეტაპზე არ სურს პარლამენტის თავმჯდომარეს. მისი თქმით, საარჩევნო კოდექსზე ჯგუფი მუშაობს და კონკრეტულ გადაწყვეტილებას ის მიიღებს. დავით ბაქრაძის განცხადებით, გადაწყვეტილება პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მიიღონ და, რაზეც ისინი შეთანხმდებიან, იმის მიხედვით მოხდება მუშაობა.

— ამაზე ნაადრევი იქნება ჩემი მხრიდან კომენტარის გაკეთება. ჯერჯერობით ამ თემაზე კომენტარს არ გავაკეთებ, არ გავაკეთებ იმიტომ, რომ ეს არის ღია საკითხი საარჩევნო ჯგუფში. მე არ მინდა, კომენტარი გავაკეთო იმ საკითხზე, რომელიც ღიაა. მერე ისე არ გამოვიდეს, რომ ჩემი კომენტარი მოქმედებს მათ პოზიციაზე. ჯერ პარტიები შეთანხმდნენ. თუ იქნება პოლიტიკური კონსენსუსი, რომ დეპუტატების რაოდენობა გაიზარდოს, მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნება. უბრალოდ, ამ ეტაპზე, მე ჩემს პოზიციას არ დავაფიქსირებ, რადგან ეს არასწორი იქნება, — ასეთია დავით ბაქრაძის პოზიცია დეპუტატთა რაიოდენობის გაზრდა-არგაზრდის საკითხზე.

რაც შეეხება საარჩევნო კოდექსზე მუშაობას, გასულ წელს ოპოზიციურ რვიანს სხვა ოპოზიციური პარტიებიც შეუერთდნენ და კოდექსზე მუშაობა დაიწყეს. საარჩევნო კოდექსზე მუშაობა ამ წელს დასრულდება.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ქვეყნის სტაბილურობისკენ გზა არჩევნებზე გადის.

— ნებისმიერი სხვა გზა, რომელიც გადის აქციებზე, არეულობაზე, პროცესის გარეთ გატანაზე, ალტერნატიული სტრუქტურების შექმნაზე, ყველაფერი ეს არეულობის მომტანი გზაა. ერთადერთი გზა, რომელიც არის სერიოზული და წინ მიმავალი, არის არჩევნების გზა. ამიტომ ყველა ის ოპოზიციური პარტია, რომელიც დათანხმდა ამ პროცესში მონაწილეობას, აბსოლუტურად სწორად ხედავს ამ პროცესს, — ასეთია დავით ბაქრაძის პოზიცია.

რაზე შეიძლება შეთანხმდეს საარჩევნო ჯგუფი და რაზე არა?

ოპოზიციას საარჩევნო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება აქვს. მათ უკვე გააცნეს საკუთარი იდეები და პოზიციები ხელისუფლებას. რაც შეეხება მმართველ პარტიას, მათ ჯერ ოპოზიციის მოსაზრებები მოისმინეს, შემდეგ კი საკუთარ მოსაზრებებს ჩამოაყალიბებენ. სწორედ ამის შემდეგ შეიტყობს ოპოზიცია, რას ეთანხმება მმართველი პარტია და რას — არა.

რაზე შეთანხმდება ოპოზიცია და უმრავლესობა, ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა დავით ბაქრაძემ.

— საარჩევნო ჯგუფს მუშაობა ახალი დაწყებული აქვს. ეს არის დამოუკიდებელი ჯგუფი, სადაც პარტიები მუშაობენ. იმედი მაქვს, ამ ჯგუფში შეთანხმება მოხდება. ერთი რამ შემიძლია ვთქვა — ხელისუფლებისა და უმრავლესობის მხრიდან პოლიტიკური ნება არის, რომ ეს შეთანხმება შედგეს. ეს ნება რომ არ ყოფილიყო, ეს ჯგუფი არ შეიქმნებოდა. ჯგუფის შექმნა იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების მხრიდან ამის ნება არსებობს, — ამბობს დავით ბაქრაძე.

კიდევ ერთი — პარლამენტის თავმჯდომარეს ძნელად წარმოუდგენია რაციონალურად მოაზროვნე ოპოზიციური პარტია, რომელიც ბოიკოტს გამოუცხადებს არჩევნებს და უარს იტყვის საკუთარ არსებობაზე.

დავით ბაქრაძეს მიაჩნია, რომ პარტია იმიტომ არსებობს, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში და საკუთარი ხედვა განახორციელოს, ბოიკოტით კი ის უარს ამბობს საკუთარი ხედვების გატარებაზე.

პარლამენტის თავმჯდომარე იმასაც ამბობს, რომ ნებისმიერ ქვეყანას სჭირდება ძლიერი ოპოზიცია.

— პოლიტიკოსებმა უნდა ისწავლონ ერთმანეთთან ლაპარაკი. შეიძლება, ყველაფერზე ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ დიალოგი, კომუნიკაცია და პროცესი უნდა იყოს, — ასეთია ბაქრაძის მოსაზრება.

პარლამენტის სპიკერი იმასაც ამბობს, რომ ვერასოდეს გაუგებს იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ამბობენ, რომ არ შეიძლება დიალოგი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გზა უფსკრულისკენ არის, საიდანაც ძლივს ამოვედით.

არის თუ არა ქვეყანაში რომელიმე პარტია, რომელთანაც დავით ბაქრაძე უარს იტყვის დიალოგზე? ანუ არსებობს თუ არა მინუს „პარტია“?

პარლამენტის თავმჯდომარისთვის „მინუს პარტიები“ არ არსებობს და ყველა მათგანთან დიალოგისთვის მზად არის.

— როდესაც ქვეყნის ინტერესი მოითხოვს დიალოგს, მზად ვარ, გვერდზე გადავდო ემოციური ან პიროვნული განცდა და ველაპარაკო ნებისმიერ ადამიანს, — ამბობს დავით ბაქრაძე.

ოპოზიციის ნაწილსა და ხელისუფლებას შორის დიალოგი ამ წელსაც აქტიურად წარიმართება, თუმცა, ალბათ, იქნებიან ისეთები, ვინც დიალოგის ფორმატზე უარს იტყვიან.

ისინი, ვინც ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგზე უარს იტყვიან და ისინი, ვინც მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდებიან, ერთმანეთს არჩევნებში შეეჯიბრებიან. ასე რომ, ახალი საარჩევნო კოდექსის მიღების შემდეგ პოლიტიკური ძალები ერთმანეთის კონკურენტებად დარჩებიან და ამომრჩევლის გულის მოგებას არჩევნების წინ შეეცდებიან.

# გმირთა მოედანზე მოშიმშილე ვეტერანები აქციას 6 იანვარს შეწყვეტენ

როგორც აქციის მონაწილეთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული აქციით ვეტერანებს სურდათ გამოეხატათ პროტესტი ხელისუფლების ქმედებების მიმართ და ხელისუფლებისთვის ეჩვენებინათ ის უკიდურესი გაჭირვება, რომელიც ვეტერანთა რიგებში არსებობს.

ვეტერანების განცხადებით, ისინი 6 იანვრის შემდეგაც გააგრძელებენ ბრძოლას თავიანთი ღირსების დასაცავად.

— ჩვენ, ვეტერანები გმირთა მოედანზე ახალი წლის დღეებში უკიდურესმა გაჭირვებამ, ხელისუფლების მხრიდან უპატივცემულობამ, დევნამ და შეურაცხყოფამ მოგვიყვანა. არ ვნანობთ, რომ ახალ წელს აქ შევხვდით და ვშიმშილობთ, პირიქით, გვეამაყება, რომ ჩვენ ისევე შევხვდით ახალ წელს, როგორც ჩვენი ხალხის უმრავლესობა. ჩვენ შევძელით, რომ მათი სათქმელი გვეთქვა და სატკივარი გამოგვეტანა. აქციის მიზანია, დაგვენახებინა უპასუხისმგებლო ხელისუფლებისთვის 50-მდე ვეტერანის მაგალითზე ის სიღატაკე, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ოჯახებს და ჩვენნაირად ძალიან ბევრ ოჯახს. ეს არის გამაფრთხილებელი მჯდომიარე აქცია 6 იანვრამდე. ჩვენ 6 იანვარს კი არ ვამთავრებთ, არამედ ვიწყებთ ბრძოლას სიღარიბიდან თავის დასაღწევად. ბრძოლას ჩვენნაირი გაჭირვებულებისთვის სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად, ამ დამცირებული ყოფიდან თავის დასაღწევად, ბრძოლას საკუთარი ღირსების დასაცავად, — ნათქვამია ვეტერანთა განცხადებაში.



**ინტერპრესნიუსი**

## ამერიკის პრეზიდენტმა საიდუმლო ინფორმაციის მაკონტროლებელი პირი დანიშნა

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ იმისთვის, რომ „ვიკილიქსში“ ინფორმაციამ აღარ გაჟონოს, პასუხისმგებელი პირი დანიშნა.

„ლენტა.რუ“-ს ცნობით, საიდუმლო მონაცემების გავრცელებაზე კონტროლს ამერიკის ეროვნული კონტრტერორისტული ცენტრის საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი რასერი ტრევერსი გააკონტროლებს.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ სწორედ აღნიშნული პირი მუშაობდა ტერორისტული დაჯგუფებების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეკრებასა და სტრუქტურირების საკითხებზე.

ტრევერსის მოვალეობაში შედის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტებთან კონსულტაციები იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო საიდუმლოების გავრცელება მოხდება. გარდა ამისა, ტრევერსი შეიმუშავებს იმ სტრუქტურულ ცვლილებებს, რომელიც გასაიდუმლოებული ინფორმაციის გაჟონვის რისკს შეამცირებს.

როგორც ცნობილია, „ვიკილიქსის“ დამფუძნებელმა ჯულიან ასანჟმა განაცხადა, რომ კიდევ ბევრი ინფორმაციის გამოქვეყნებას გეგმავს, მათ შორის ამერიკის ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკთან დაკავშირებით.

**ინტერპრესნიუსი**

## საბერძნეთი თურქეთთან საზღვარზე კედელს ააშენებს

ქვეყანაში არალეგალი მიგრანტების შესვლისგან დასაცავად საბერძნეთის ხელისუფლება აპირებს, თურქეთთან საზღვარზე 200 კილომეტრიანი კედელი ააშენოს.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, ამის შესახებ საბერძნეთის მოქალაქეთა დაცვის მინისტრმა ხრისტოს პაპუცისმა განაცხადა. ყოველწლიურად ათეულობით ათასი მოქალაქე ცდილობს, საბერძნეთში თურქეთიდან არალეგალურად შეაღწიოს.

მისივე განცხადებით, საბერძნეთი აპირებს ასევე სანაპირო დაცვის მოდერნიზაციას. მინისტრს არ დაუკონკრეტებია, რა ვადებში მოხდება აღნიშნული კედლის აგება. პაპუცისმა დასძინა, რომ საბერძნეთი ამიერიდან არალეგალურ მიგრაციას ყველანაირად აღკვეთას.

მინისტრის განცხადებით, საბერძნეთში დარჩებიან მხოლოდ ის მიგრანტები, რომლებსაც გააჩნიათ უფლება, ჰქონდეთ თავშესაფარი. ყველა დანარჩენ არალეგალებს კი საკუთარი სურვილით ან ძალით ქვეყნიდან გაიწვევენ.

ბოლო მონაცემებით, საბერძნეთში ყოველდღიურად 200-მდე არალეგალი შედის.

**ინტერპრესნიუსი**

## სერგეი ლავროვი საქართველოში ხელისუფლების შეცვლის მოლოდინშია



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთი მზადაა საქართველოსთან ღია ურთიერთობებისათვის.

— ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ხალხი მეგობრული ერია. ასევე ვიცით, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა ძველებურად არის განწყობილი რუსი ხალხის მიმართ. ჩვენ ღია ვართ კონტაქტისათვის, — განაცხადა ლავროვმა ტელეარხ „როსია 24“ ეთერში..რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, გაიხსნა ზემო ლარსის გადასასვლელი, რომელიც შეკეთების შემდეგ ისევ იფუნქციონირებს.

— ჩვენ არ შეგვიწყვეტია საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა მას შემდეგაც კი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გასცა ბრძანება სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის შესახებ, — აღნიშნა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ მოვა დღე, როდესაც ქართველი ხალხი აირჩევს ისეთ ლიდერებს, რომლებისთვისაც მთავარი თავიანთი ქვეყნის ინტერესები იქნება, რომლებიც იზრუნებენ მეზობელ ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობებისათვის და ასევე დაიცავენ საქართველოში მცხოვრები ყველა ერის თანასწორუფლებიანობას.

**მედიანიუსი**

## მოლდოვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მარიან ლუპუ გახდა

მოლდოვის დემოკრატიული პარტიის ლიდერი მარიან ლუპუ პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ლუპუს ასევე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილებაც მიენიჭა.

ლუპუს კანდიდატურას მხარი ევროპასთან ინტეგრაციის ალიანსის 57 კანონმდებელმა დაუჭირა. ხმის მიცემის პროცესში კომუნისტებს და მათ ლიდერ ვლადიმირ ვორონინს მონაწილეობა არ მიუღიათ.

მოლდოვური მედიასაშუალებების ინფორმაციით, დღეს ლუპუ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფილ პრემიერ ვლად ფილატის კანდიდატურას წარადგენს.

შეგახსენებთ, რომ ლუპუმდე მოლდოვის პრეზიდენტის მოვალეობას ლიბერალური პარტიის ლიდერი მიხაი გიმპუ ასრულებდა.

**მედიანიუსი**

## ახალი წლის ღამეს თბილისში ბრმა ტყვიას 12 წლის მოზარდი ემსხვერპლა

ახალი წლის ღამეს თბილისში ბრმა ტყვიას 12 წლის მოზარდის სიცოცხლე ემსხვერპლა. უბედური შემთხვევა მუხიანის დასახლებაში მოხდა.

აღნიშნული ფაქტი „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსმა გიორგი გეგეჭკორმა დაუდასტურა. მისი ინფორმაციით, მოზარდი იაშვილის სახელობის კლინიკაში დაიღუპა; საქმეს კრიმინალური პოლიცია იძიებს. გეგეჭკორმა დეტალების დაკონკრეტებისგან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, თავი შეიკავა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნათელაშვილი მერაბიშვილს უნდობლობას უცხადებს

**გასული 2010 წელი საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და მთავრობის სრულმა შემადგენლობამ არა მხოლოდ დადებითად, არამედ ძალიან წარმატებულად შეაფასეს. მხოლოდ ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს წამოსცდა, დემოკრატიის კუთხით საქართველოს 103-ე ადგილის კომენტირებისას, ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრიაო.**

შორენა კოწოწაშვილი




შეიძლება მაჭავარიანის ეს კომენტარი ხელისუფლებაში ბევრს არც ესიამოვნა, მაგრამ, როგორც ჟურნალისტები აცხადებდნენ, საპარლამენტო უმრავლესობა ამ ფაქტის კომენტირებისგან თავს იკავებდა და ნავსი მხოლოდ მაჭავარიანმა გატეხა.

ადამიანის უფლებების კუთხით რომ ქვეყანაში მართლაც მძიმე მდგომარეობაა, ამის შესახებ ფაქტობრივად ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაა ინფორმირებული. იწერება საკმაოდ მძიმე დასკვნებიც, თუმცა, ფაქტია, რომ ეს სააკაშვილის ხელისუფლებას რატომღაც პრობლემებს არ უქმნის საერთაშორისო არენაზე დემოკრატიულ ხელისუფლებად წარმოჩნდეს, თავად სააკაშვილს კი მხოლოდ 7 ნოემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ შეუჩერეს დემოკრატიის შუქურას ტიტული.

— მაინცდამაინც მესამე მსოფლიო ომი უნდა გააჩაღოს მიხეილ სააკაშვილმა, რომ მის ლობირება-ადვოკატობას თავი დაანებოთ? — განუცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა დემოკრატიული სამყაროს პოლიტ-ლიდერებს.

შრომის პარტიის თავმჯდომარის ეს განცხადება სააკაშვილის ხელისუფლებას ღიმილს გვრის, ისევე, როგორც ნათელაშვილის შეფასებები ლეიბორისტული პარტიის ცენტრალურ ოფისთან მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ლეიბორისტების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გასული წლის შემდგომაზე თბილისში მომხდარი აფეთქებების სერია, მათ შორის ამერიკის საელჩოსთან, ორგანიზებულია პრეზიდენტ სააკაშვილის სპეცსამსახურთა მიერ და მათი მიზანია სისხლიანი რეჟიმის გადასარჩენად ხალხის დაშინება, ამერიკა — რუსეთის დაპირისპირება კვლავ საქართველოს ხარჯზე და მომავალ ტერაქტებზე ალიბის შექმნა.

ახალ წელს პოლიციის შენობის პრეზენტაციაზე მყოფმა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა წლის ყველაზე წარმატებულ მოვლენად საკუთარ უწყებაში რუსი ჯაშუშების ქსელის და ტერორისტების დაკავება დაასახელა. მისი თქმით, ეს ტერორისტები თითოეულ ადამიანს საფრთხეს უქმნიდნენ, ამიტომ მათი დაპატიმრება ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

მერაბიშვილის აზრს არ იზიარებს და სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს ნათელაშვილი. ქვეყნის პირველი ლეიბორისტი მერაბიშვილის უწყების მიერ გავრცელებულ ვერსიას ტერაქტების შესახებ უნდობლობას უცხადებს.

— ჩვენ ამ გახმაურებულ ვერსიებს უნდობლობას ვუცხადებთ და მოვითხოვთ ამერიკის კონგრესის და ევროპარლამენტის დეპუტატთა ჯგუფის ჩამოსვლას. ასევე ვთხოვთ ჰააგის ტრიბუნალს, დააჩქაროს ტერორისტ სააკაშვილის დაპატიმრების მოთხოვნით ჩვენ მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტულმა პარტიამ გასული წლის ბოლოს ჰააგის სასამართლოდან პასუხი მიიღო, რამაც ნათელაშვილს და მის თანაგუნდელებს იმედი ჩაუსახა, რომ საქართველოს ანტიდემოკრატიული ხელისუფლების პირველი პირი — მიხეილ სააკაშვილი გასამართლდება ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში იქნა ქვეყანაში ჩადენილი.

ამ იმედს არ ჰკარგავს პარტია „გამარჯვებისთვის“ ლიდერი შალვა ხაჭაპურიძე, რომელმაც ჰააგაში 120-გვერდიანი საჩივარი შეიტანა პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ.

ასე რომ, ჰააგაში დღეისთვის ორი სარჩელია შეტანილი, სადაც მითითებულია იმ დანაშაულობებზე და იმ მძიმე შედეგებზე, რაც ქვეყანაში სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკამ განაპირობა. რამდენად აღელვებს ეს სარჩელები პრეზიდენტს სააკაშვილს და მისი ხელისუფლების ხერხემალს — ვანო მერაბიშვილს, ეს ჩვენთვის უცნობია. თუმცა, შეიძლება ამასთან დავაკავშიროთ ის ინფორმაცია, რომელიც კულუარულად შევიტყვეთ — ოპოზიციურ ფლანგზე დაწყებულ კომპრომატების ომს ლეიბორისტებთან დაკავშირებული კომპრომატებიც შეემატება.

## ბესელია ბურჯანაძის გაბრაზებას ელოდება



საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ დამფუძნებელი ეკა ბესელია მიესალმება სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივას, რომლის თანახმადაც, უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისია ყველა საეჭვო ფაქტის შესასწავლად.

— საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიამ უნდა გამოიძიოს არა მარტო ის, თუ რა მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, არამედ 7 ნოემბრის დანაშაულიც, 5 იანვრის გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნებიც, გახმაურებული მკვლელობები პრემიერ მინისტრის ზურაბ ჟვანიას, საპრეზიდენტო კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის, ასევე იმ უდანაშაულო ახალგაზრდების, რომელიც ამ რეჟიმის მიერ არის დახვრეტილი, — აღნიშნულია ბესელიას განცხადებაში.

ეკა ბესელია იმედოვნებს, რომ ნინო ბურჯანაძე ძალიან მალე ისე გაბრაზდება, რომ საჯაროდ განაცხადებს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებისა და სააკაშვილის რეჟიმის სხვა დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ.

ბესელიას თქმით, რადგან ქვეყანაში პოლიტიზებულია სასამართლო, პროკურატურა და პოლიცია, ამიტომაც ლეგიტიმურად და ბუნებრივად ჩდება სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა, რომ შეიქმნას საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისია ყველა ამ ფაქტის შესასწავლად და კომპეტენტური, ობიექტური დასკვნის დადების შემდეგ ეს საქმეები გადაეცეს სახალხო სასამართლოს საჯარო განხილვისთვის.შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ლევან გაჩეჩილაძისა და მიხეილ სააკაშვილის გახმაურებული შეხვედრის შესახებ გამოქვეყნებული მასალების ნამდვილობის დადგენის ინიციატივით გამოვიდნენ. უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა ეკა ბესელიამ სახალხო ქომაგის სტატუსით უნდა მიიღოს.

**მედიანიუსი**

## დუისსა და ახმეტაში პოლიციის ახალი შენობები გაიხსნა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა დუისში და ახმეტაში პოლიციის ახალი, გამჭვირვალე შენობები გახსნეს, — აცნობეს „მედიანიუსს“ ეადიო „ჰერეთიდან“.

ვანო მერაბიშვილის თქმით პოლიციის გამჭვირვალე შენობების მშენებლობა მომავალ წელსაც გაგრძელდება.

კახეთში მიმდინარე წლის სექტემბერში პოლიციის ახალი შენობები გაიხსნა იორმუღანლოში, კაჭრეთში, წნორში, ნაფარეულსა და არხილოსკალოში.

**მედიანიუსი**

## 5 იანვარს კონკურსი „სუპერ ბებია, სუპერ ბაბუა-2011“ გაიმართება

5 იანვარს „კათარზისში“ მეშვიდე ტარდიციული საშობაო კონკურსი „სუპერ ბებია, სუპერ ბაბუა-2011“ გაიმართება.როგორც „მედიანიუსს“ კათარზისიდან „აცნობეს“ კონკურსანტები არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვა რაიონებიდანაც იქნებიან.

კონკურში მხოლოდ 70 წელს გადაცილებული სულ 25 მოხუცი მონაწილეობს.

მონაწილეებს შორის ჩატარდება ცეკვისა და სიმღერის კონკურსი.

კონკურსის ჟიურიში არიან ნუცა ჯანელიძე, დუეტი „ჯორჯია“, სოფო ხალვაში და კომპანია „თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უფროსი ვალერი ფანცულაია.

ღონისძიების ნანული სარაჯიშვილი წარუძღვება.

**მედიანიუსი**

## სოფელმა ოსიაურმა ბუნებრივი აირი მიიღო

ხაშურის რაიონის სოფელმა ოსიაურმა საპრეზიდენტო პროგრამის „გაზი ყველა სოფელში“ ფარგლებში ბუნებრივი აირი მიიღო.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, კომპანია „სოკარ ჯორჯიამ“ სოფლის გაზიფიცირება დაასრულა. აშენდა 3 კილომეტრისა და 477 მეტრი სიგრძის გაზსადენი, რისთვისაც 145 200 ლარი დაიხარჯა.

როგორც ცნობილია, საპრეზიდენტო პროგრამა „გაზი ყველა სოფელში“ ამა თუ იმ სოფელში მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენის შეყვანას ითვალისწინებს. ამის შემდეგ გაზგამანაწილებელ კომპანიასა და მომხმარებელს შორის გაფორმებული შეთანხმების შემთხვევაში ბუნებრივი აირის მიღება სოფლის ნებისმიერ მაცხოვრებელს შეეძლება. საპრეზიდენტო პროგრამით საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტის გაზიფიცირება იგეგმება.

**მედიანიუსი**

# ავთო მარგიანი: „რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალს თავისი ხელით დააბრუნებს“

თეა მარხვაი ე

**ყოფილმა ვიცე-პრემიერმა გასულ წელს რამდენჯერმე განაცხადა, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს თავად დაგვიბრუნებდა. ამ იმედისმომცემ და დაუჯერებელ განცხადებას მარგიანი წელსაც ისევ იმეორებს. ის ამტკიცებს, რომ 2011 წელი საქართველოსთვის წარმატებული იქნება. ავთანდილ მარგიანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



***— გასული წელი ხელისუფლებამ წარმატებულად შეაფასა, ოპოზიციამ — წარუმატებლად. თქვენ რას იტყოდით?***

— ახალი წლის დღეებია, ქვეყანაში საზეიმო განწყობაა და არ გამოვა, პირდაპირ პოლიტიკაზე დავიწყო საუბარი. ამიტომ ჯერ საქართველოს მოსახლეობას ახალ წელს მივულოცავ. ჩემ სამშობლოს ვულოცავ ახალ წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის თამადობით. ჩვენი პატრიარქი უდიდესი ადამიანია. ის შეძლებს საქართველოს გადარჩენას. მე პატრიარქს ვუძღვენი პატარა ლექსი.

***— მოიწონა უწმინდესმა თქვენი შემოქმედება?***

— მოეწონა და ძალიან გამიხარდა. მას ვაჩუქე სვანური კოშკის მინიატურა. ქვეშ ასეთი რამე დავაწერე: ცისკარზე მზეს ჩამოჰგავხარ, მწუხრზედ კი — სავსე მთვარესო, სამარადისოდ გეცოცხლოთ, მამაო, უნეტარესო. ჩვენს პატრიარქს ახლაც დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. ის საქართველოს ძალიან სჭირდება. ქართულ ეკლესიას ილია მეორე რომ არ ჩასდგომოდა სათავეში, მართლმადიდებლობა იქნებოდა ფორმალური. არ ვაჭარბებ, მართლაც ასე იქნებოდა. მან ძალიან ძლიერი გუნდი შექმნა და შეძლო მართლმადიდებლობის დაცვა. ეს იოლი გასაკეთებელი არ არის. 12 სექტაა დღეს საქართველოში შემოსეული.

***— რა მიზნები აქვთ, ბატონო ავთანდილ?***

— მათ უნდათ, მართლმადიდებლობა წაგვართვან. ისინი ქართველი ერის დასუსტებისა და დაპყრობისთვის იბრძვიან. თუ სადმე მართლმადიდებლობას ძალა აქვს, ეს საქართველოა. წმინდა ნინოსა და წმინდა გიორგის წილხვედრი ქვეყანაა, საქართველო უბრალო კი არ არის. სხვა ქვეყანას ერთი-ორი სექტაც მოერეოდა, საქართველოს კი ამდენი შემოუსიეს. ბევრი ზიანი მოგვაყენეს. საქართველო კი მაინც ამაყად დგას ფეხზე. ამაში ჩვენმა ხალხმაც დიდი როლი შეასრულა. საქართველოში კარგი ხალხი ცხოვრობს. აქვე იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რა დიდებული წინაპრები გვყავდა.

***— წინაპრები მართლა კარგი გვყავდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ჩვენ კარგი მემკვიდრეები არ გამოვდექით.***

— ამას უამრავი მიზეზი აქვს. რა შემოსევებსაც ჩვენ გავუძელით... ეს შემოსევები არც დღეს კლებულობს. როგორც უკვე გითხარით, დღეს საქართველოში 12 სექტაა შემოსული. მე მჯერა, რომ საქართველო ამასაც გაუძლებს. მათთან ბრძოლას ძალიან დიდი სიფრთხილე სჭირდება. ეს სექტანტები ძალიან საშიში ხალხია. ქართველ ხალხს ვთხოვ, გული არ გაიტეხოს. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. დედამიწაზე როცა ეკლესიების აშენება აკრძალული იყო, ქართველები ვაშენებდით. მათ შორის მეც ვარ, ტრაბახში არ ჩამითვალოთ. საბჭოთა ეპოქაში პირველი ეკლესია ჩვენ ავაშენეთ ქვემო ქართლში, სამთავისის ეკლესიის პროტოტიპი. ეს ეკლესია ილია მეორემ აკურთხა. იმის შემდეგ შენდება და შენდება ეკლესიები. ლენინურმა მასონიზმმაც კი ვერ დაამარცხა მართლმადიდებლობა. ჩვენ ვერც 12 სექტა გვიზამს რამეს. მაგათ საქართველოდან გავყრით. ისინი უკვე ძალიან დასუსტდნენ. ადრე სექტები მეგონა ზღაპარი. თურმე, რა სერიოზული რამე ყოფილა. ბოლო წლების პოლიტიკამ ამაში ნათლად დამარწმუნა. პოლიტიკა ზოგს ჰგონია ლაქლაქი. როგორ შეიძლება, თავს კაცი პოლიტიკოსად მიიჩნევდეს და მხოლოდ ლაქლაქებდეს.

***— ლაპარაკი პოლიტიკაში აუცილებელია.***

— ლაპარაკი და არა ლაქლაქი. პოლიტიკა არის შესაძლებლობათა გამოყენების ხელოვნება. ჩვენთან კი პოლიტიკა ტელევიზორში გამოსვლა და ხალხის მოტყუება ჰგონიათ. ვინც ხალხს ატყუებს, ის თავისას აუცილებლად მიიღებს. ისინიც მიიღებენ თავისას, რომლებიც გამოდიან და სექსუალებს უჭერენ მხარს. ეს მიუღებელია.




***— რატომ არის მიუღებელი სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა?***

— დავიწყოთ იმით, რომ მათ უფლებებს არავინ არღვევს, ან ვინ დაარღვევს, სათოფეზე მათ არავინ ეკარება. თუ ვინმე ურღვევს უფლებებს, მათივე მსგავსები არიან. სექსუალური უმცირესობები კი არ უნდა დავიცვათ, უნდა ჩავკეტოთ ფსიქიატრიულ კლინიკაში. იქ კი ერთმანეთი თუნდაც სულ დაადნონ.

***— რატომ უნდა ჩავკეტოთ? ისინი ხომ არავის არაფერს უშავებენ.***

— იმიტომ, რომ ასეა საჭირო. მათ შესანახად ყველა გაიღებს ფულს. ჩვენ შევქმნით ფონდს. მას ერქმევა სექსუალების დაცვის ფონდი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

***— ისინიც ადამიანები არიან და რა უფლება გვაქვს, ავუკრძალოთ რამე?***

— რას ჰქვია, ადამიანები არიან? ადამიანი როცა ხარ, ადამიანურად უნდა იცხოვრო. ესენი არაადამიანურად ცხოვრობენ.





## „დალის ხეობაში მალე ქართული დროშა აფრიალდება“

***— რატომ ცხოვრობენ არაადამიანურად? თუ ასეთები არიან, რა ქნან?***

— ესენი არიან გადაგვარებულები და გარყვნილები. მეტ სიტყვას არ ვიტყვი. ამათ რომელი ერიც ვერ გაუმკლავდება, იმ ერს მომავალი აღარ აქვს.

***— ამ მოვლენას ვერც ერთი ერი ვერ უმკლავდება.***

— ქართველი ერი გაუმკლავდება. მე ამის დიდი იმედი მაქვს. ჩვენ მალე დავიწყებთ ბრძოლას მათ წინააღმდეგ.

***— რანაირ ბრძოლას დაიწყებთ?***

— ბრძოლას რომ ვამბობ, ცემასა და დახოცვას კი არ ვგულისხმობ. სპეციალურ სახლებს გავაკეთებთ. ჩავკეტავთ და იბაირამონ.

***— ამ მოსაზრების გამო თქვენ შეიძლება ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა გაგაკრიტიკონ.***

— ადამიანი ვარ მე და, თუ ადამიანებს იცავენ, მაშინ დაიცვან ჩემი უფლებები. ის სექსუალები კი ადამიანები არ არიან, არაადამიანურად იქცევიან. როგორ შეიძლება, აღმაშენებლის, თამარ მეფის, ილია ჭავჭავაძის, ერეკლეს, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლოში სექსუალებზე იყოს ლაპარაკი. ახლა შევცვალოთ თემა, თორემ მომეშალა ნერვები.

***— პოლიტიკაზე გადავიდეთ მაშინ.***

— სად არის საქართველოში პოლიტიკა? ეს არის ლაქლაქი და მეტი არაფერი, თანაც ქართული პოლიტიკა საქართველოს მოსახლეობის სასარგებლოდ უნდა იყოს. აქ კი რა ხდება? მსგავსი არაფერია. ისე, რაღაც დადებითებიც არის. რაღაცებიც კეთდება. მე მაინც უკმაყოფილო ვარ.

***— თუ კეთდება, რატომ ხართ უკმაყოფილო?***

— უკმაყოფილო იმიტომ ვარ, რომ ის არ კეთდება, რაც საჭიროა. გასულ წელს საქართველოს მიღწევები არ ჰქონია. არაფერი ყოფილა, არყოფნაზე კი, როგორც წესი, არაფერი ითქმის. სამწუხაროდ, დიდი შედეგი არ ჩანს. ჩვენი ხელისუფლება ტყუილად დასეირნობს ევროპაში. ეს სეირნობა საქართველოს არ წაადგება. ხალხს ძალიან აწუხებს უსამართლობის განცდა. აუცილებელია დასაქმება. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უფასო განათლება და ჯანდაცვა. ეს უზრუნველყოფილი არ არის. ეს ძალიან დიდი უბედურებაა. მე უკმაყოფილო ვარ ამ ხელისუფლების. ამის მიუხედავად, მე მათ არაფერს ვაბრალებ. რაც დღეს ხდება, ჩემი ბრალია.

***— თქვენი ბრალი რატომ არის?***

— მე ყველაფერი უნდა გამეთვალა თავის დროზე.

***— რა უნდა გაგეთვალათ?***

— ის, რომ ესენი ხელისუფლებაში არ უნდა მომეშვა. მაშინ მე პატარა სვანური რქები გამოვიბი და ჩემი პარტია შევქმენი. ჩვენ ედუარდ შევარდნაძის იმედი გვქონდა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ის ასე მწარედ იცრუებდა. არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება. ქართველი ხალხი გამოფხიზლდება და სერიოზულ გადაწყვეტილებას მიიღებს.

***— რა გადაწყვეტილებას?***

— ეს გადაწყვეტილება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი საქართველოსთვის. ორჯერ უკვე მოხდა ასეთი რამე. ღმერთი სამობითააო, ნათქვამია და ეს მესამედაც მოხდება.

***— რა გადაწყვეტილება გაქვთ მხედველობაში?***

— სანამ ამ გადაწყვეტილებაზე მოგახსენებთ, გეტყვით, რომ არც ერთი სკამი არ ღირს თუნდაც ერთ წვეთ სისხლად. მე მჯერა, რომ ყველაფერი უსისხლოდ მოხდება. მე უკვე ბევრჯერ მოვითხოვე და კიდევ ერთხელ მოვითხოვ. ხალხისთვის დანაპირების შეუსრულებლობაზე მუხლი უნდა იქნეს შემოღებული. ამ მოთხოვნით ხელმოწერებსაც ვაგროვებთ.

***— რა რაოდენობით გაქვთ ხელმოწერები შეგროვებული?***

— 200 ათასი ხელმოწერა გვაქვს შეგროვებული. აუცილებლად უნდა იქნეს ეს მუხლი შემოღებული.

***— რა ტიპის სასჯელი უნდა დაწესდეს?***

— ძალიან მკაცრი სასჯელი უნდა დაწესდეს. მოვლენ, გვპირდებიან ზეციურ სამოთხეში ცხოვრებას და გვტოვებენ ჯოჯოხეთში. ვიდრე ეს მუხლი არ ამოქმედდება, ყველაფერი ასე იქნება.

***— გასულ წელს თქვენ რამდენჯერმე გვითხარით, დალის ხეობაში მალე ქართული დროშა აფრიალდებაო. ეს მალე წელს ხომ არ იქნება?***

— კიდევ გავიმეორებ, რომ დალის ხეობაში ქართული დროშა მალე აფრიალდება. მალე არ ნიშნავს ორ დღეს. მალე ნიშნავს თვეებს და ხანდახან წლებსაც.

***— ამჯერად ეს მალე თვეებს უდრის თუ რამდენიმე წელს?***

— კონკრეტულ თარიღს ვერ დავასახელებ.

***— თქვენ ნამდვილად იცით კონკრეტული თარიღი?***

— რა თქმა უნდა, ვიცი. მე ისიც ვიცი, რომ ჩვენი დროშა აფხაზეთშიც და ცხინვალშიც აფრიალდება. ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით. ცოტა წავეჩხუბეთ ერთმანეთს, მაგრამ შევრიგდებით. ასეთი რაღაცები ადრეც ყოფილა. აქამდეც ვახერხებდით ჩვენ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას. მე მწამს, რომ ქართველები, აფხაზები და ოსები ისევ გამოვნახავთ საერთო ენას.

***— დღევანდელი გადმოსახედიდან დაუჯერებლად ჩანს, რომ ოსებთან და აფხაზებთან ერთად შეიძლება ცხოვრება.***

— დაუჯერებელს მე ვერაფერს ვხედავ. ცოლ-ქმარი იყრება ხოლმე და მერე ისევ რიგდებიან. ჩვენც შევრიგდებით.

***— იმაზე რას იტყვით, ჩვენ შორის რუსეთი რომ დგას?***

— რა უნდა ვთქვა. რუსეთი ჩვენი ძმა და მეგობარია. ვინც რუსეთის ფაქტორს ვერ აფასებს, ის ან მტერია, ან შტერი, ანდა დავალება აქვს მიცემული ასეთი, რომ რუსეთთან დაგვაპირისპიროს. რუსეთი ჩვენი ერთგული მეგობრი და კეთილი მეზობელია, ამის გარდა, სულიერი ძმაა.

***— ამბობთ, მეგობარი და სულიერი ძმააო. არადა, რუსეთი საქართველოს მიმართ, როგორც მოსისხლე მტერი, ისე იქცევა.***

— რუსეთში არიან ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ კავკასია და საქართველო. ესენი არიან ვირთხები და ცუდი ადამიანები. უმრავლესობას კი საქართველო ძალიან უყვარს. ვირთხების გამო როგორ შეიძლება ამა თუ იმ ერზე ცუდის თქმა. ქართველებშიც არის ერთიორი ვირთხა. ამის გამო ხომ არ შეიძლება ჩვენზეც თქვან, ცუდი ერიაო. რუსეთის როლს თავის დროზე ძალიან სერიოზული შეფასება გაუკეთა ილია ჭავჭავაძემ. მე რა უფლება მაქვს, არ დავეთანხმო მას. რუსეთი რომ ცუდი ყოფილიყო, ერეკლე იქით ნაბიჯსაც არ გადადგამდა.

***— ამბობენ, რომ ერეკლე მეორემ მაშინ დაუშვა დიდი შეცდომა, როცა რუსეთს დაუკავშირა საქართველოს ბედი.***

— როგორ გეკადრებათ. ერეკლე შეცდომებს არ უშვებდა. ერეკლეს გეორგიევსკის ტრაქტატი რომ არ გაეფორმებინა, ქართველები აღარ ვიქნებოდით.

***— აბა, ვინ ვიქნებოდით?***

— დაგვარქმევდნენ რაიმე სახელს. ოღონდ ქართველებად არავინ მოგვიხსენიებდა. არც საქართველოს ერქმეოდა საქართველო.

***— აბა, რა ერქმეოდა?***

— გურჯისტანის ვილაიეთი ვიქნებოდით. რუსეთთან ურთიერთობამ ვილაიეთობას აგვაცილა.

***— ვილაიეთობას აგვაცილა, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთის გუბერნიად ვიქეცით. არც გუბერნიად ყოფნაა კარგი, ბატონო ავთანდილ.***

— კარგი, რა თქმა უნდა, არ არის, თუმცა, ვილაიეთს გუბერნია მაინც სჯობია. მერე გავხდით რესპუბლიკა, რესპუბლიკიდან კი ისევ დამოუკიდებელი ქვეყანა გავხდით. დღეს რუსის ჯარი თუ ჩადგა ცხინვალში, გამოუვალი მდგომარეობა ჰქონდათ. სხვათა შორის, ჩვენ მივიყვანეთ აქამდე. მანამდე მარტო იყოს ჩვენი მტერი, სანამ ეს უთანხმოება დამთავრდება. ჩვენ ბევრ წარმატებას მივაღწევთ. ჩვენ ისეთი წინაპრები გვყავდა, სხვანაირად არ შეიძლება. მერე, როგორი ქალები გვყავდა. თამარ მეფის მსგავსი ქალი არ დაბადებულა დედამიწის ზურგზე. ქეთევან დედოფალი. შუშანიკი.

***— შუშანიკი სომეხი არ იყო?***

— არა, შუშანიკი სომეხი არ იყო. სომეხი მე ვარ. ნახეთ, რა სომხურად ჟღერს ჩემი გვარი — მარგიან. მარგიან სუფთა სომხური გვარია. ისე, რომ იცოდეთ, სევანის ტბიდან ვართ სვანები. ახლა უკან ვითხოვთ მის დაბრუნებას. სომხები მესტიაში ავიდნენ, ჩვენ, სვანები კი სევანის პირას წავალთ.

***— ბატონო ავთანდილ, სვანები მესტიას ცვლით სევანის ტბაში?***

— აბა, უნდა დავიბრუნოთ სევანის ტბა, მესტიაში კი სომხები ავიდნენ.

***— ეს გაზეთი რომ გამოვა, ჯობია, იმ დღისთვის ბილეთი ნაყიდი გქონდეთ. სვანები ამ ამბავს ვერ გადაიტანენ.***

— უკვე ნაყიდი მაქვს ბილეთი სევანის მიმართულებით. სევანის ტბის გარშემო ვინ უნდა ცხოვრობდნენ, თუ არა მარგიან, ფალიან, ავალიან... თავად მესტიას მიხედონ. ტურიზმი ვითარდება. უშბაზე მივცემთ სამოსახლოს.

***— ე.ი. გაცვალეთ მესტია?***

— რატომ გავცვალეთ? უბრალოდ, ვეპატიჟებით.

***— მერე, არ გეშინიათ, კუპდარზეც რომ თქვან, სომხურიაო?***

— ვერ იტყვიან. თუ იტყვიან, მერე ჩვენც ვიტყვით, რომ ტოლმა სვანურია. ეს არ მოხდება, იმიტომ, რომ სომხები ჩვენი ძმები არიან. და კიდევ — არავინ დაიჯეროს, რომ მესტიას სვანები გაცვლას ვუპირებდეთ. ყველაფერი კარგად იქნება. 2011 წელი იქნება უბრწყინვალესი. როგორც უკვე გითხარით, სამობით არის ღმერთი. რუსეთის დახმარებით საქართველო 1801 წელს გადარჩა. 1921 წელსაც ბევრი უბედურება ავირიდეთ თავიდან. ახლა დადგა 2011 წელი. ახლაც გალარჩება საქართველო. რუსეთი თავისი ხელით დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალს. ასე რომ, ქართველებო, უიმედობა არ დავინახო თქვენს გულებში. ჩემს მოსახლეობასა და სამშობლოს კი ასე მივმართავ: „საქართველო, გიხაროდეს, ნუ ხარ ასე დარდიანი, კიდევ ერთხელ გაბრწყინდება, ამას ამბობს მარგიანი“.

## ოrშაბათი 3 იანვარი

**08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი", "ადამიანი ობობა" **09.00** საბ. ფილმი **"პატარა პრინცესა"** **10.50** ან. ფ. "პრინცესა გედი" **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** მხ. ფ. **"მარტოხელა სანტა ეძებს მისის კლაუსს"** **14.00** საბ. სერ. **"პინოქიო"** **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** მხ. ფილმი **"ოლივერი"** **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **00.00** მხ.ფ.**"მოახლე მანჰეტენიდან"** (ჯ.ლოპესი) (სუბტ.) **02.00** მოამბე **02.20** ცხოვრება მშვენიერია **04.00** მხ. ფილმი **"ბინის ქირა"** (12)

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** ქართ. ფილმი **"ყვავილი თოვლზე"** **10.10** კონცერტი: ვენის სიმფ. მუსიკის კონცერტი **11.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **12.40** მხ.ფ.**"პატარა პრინცესა"** **14.15** მეხსიერება **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** მოკლემ. ფილმი **"რეკორდი"** **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ. ფ. **"მარტოხელა სანტა ეძებს მისის კლაუსს"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ოჯახის სახელით"**

**08.00** ანიმაცია "გოჭუნას დიდი კინო" **10.00** ანიმაცია "ლილო და სტიჩი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.15** მხ. ფილმი **"უკან მომავალში 1"** **14.30** "გუნცაძეები" **1**-ლი ს. **15.15** მხ.ფ.**"პატარძლის მამა"** **17.30** დოკ. ფილმი "ჯემის ოჯახის შობა" **18.30** სერ. **"სისხლის საიდუმლო"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ.**"სად არის ელისა"** **22.00** ქართ. მხ. ფილმი **"ოცნების ქალაქი"** **00.00** მხ.ფ.**"ეროვნული განძი"** **02.00** მხ. ფილმი **"ორი სწრაფი და ორი მრისხანე"** **04.00** მხ. ფილმი **"პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან 1"**

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"თოვლის დედოფალი"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** მხ. ფილმი **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** კონცერტი: ქართული ხმები **22.00** მხ. ფილმი სუბტიტრით **00.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **01.45** მხ. ფილმი

**08.00** მხ. ფილმი **"ადამიანი ობობა"** **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"მეორე სიცოცხლე"** **13.00** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **14.40** წუთისოფელში **15.00** ინტუიცია **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა"** **17.40** სერ. **"მოჯადოებული"** **18.45** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** კონცერტი: პაემანი ვერაზე **2010** **01.00** მხ. ფილმი **"სიყვარული ყველას უნდა"** **02.45** მხ. ფ. **"მისის დაუთფაიერი"** (რ. უილიამსი) **05.00** ქრონიკა **05.15** მხ. ფილმი **"ქერათმიანი იურისტი 2"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **11.40** კონცერტი **13.00** მხ. ფილმი **"აბეზარა"** **14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **19.00** ქართ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"** **21.00** სერ.**"იდუმალი სტუმარი"** **23.00** საახალწლო შოუ-პროგრამა **01.00** კონცერტი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.50, 17.50** საქართველოს სამართლის ისტორია **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"შერეკილები"** **13.30** კონცერტი **15.00** საგალობელი **15.05** საეკლესიო კალენდარი **15.10** სპექტაკლი **16.20** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.35** ახალი აღთქმის განმარტებანი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** მრავალჟამიერი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** **21.05** კალენდარი **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოკლემ. ფილმი **"ქორწილი"** **22.20** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ჩემო პატრიარქო" **00.40** კონცერტი

## სამშაბათი 4 იანვარი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი", "ადამიანი ობობა" **09.00** საბ. ფილმი **"ჯაშუში ჰარიეტი"** **10.50** ან. ფ. "ჭიანჭველა ზი" **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** მხ. ფილმი **"გაიცანით კლაუსების ოჯახი"** **14.00** საბ. სერ. **"პინოქიო"** **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** მხ. ფილმი **"ტუტსი"** **19.05** მონტე-კარლოს ცირკის **33**-ე საერთ. ფესტივალი **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** კონცერტი: დაიანა რივზი **23.45** მხ. ფილმი **"ორკვირიანი შეტყობინება"** (ს. ბალოკი) ~~(სუბტ.) 01.35 მოამბე~~ **01.55** მხ.ფ.**"სალაპარაკო თემა"** (**12**) (ჯ. რობერტსი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"მოახლე მანჰეტენიდან"** **01.00** მხ. ფ. **"ბინის ქირა"** (**12**)

**08.00** ანიმაცია "ჯუნგლების წიგნი **2**" **10.00** ანიმაცია "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.15** მხ. ფილმი **"უკან მომავალში 2"** **14.30** "გუნცაძეები" მე-**2** ს. **15.15** მხ. ფილმი **"პატარძლის მამა 2"** **17.30** დოკ. ფილმი "ჯემის ოჯახის შობა" **18.30** სერ.**"სისხლის საიდუმლო"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ.**"სად არის ელისა"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ქართ. მხ. ფილმი **"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"** **00.00** მხ. ფილმი **"მოასწრო 60 წამში"** **02.00** მხ. ფ. **"ანგელოზი "ა""** **04.00** მხ. ფილმი **"პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან 2"**

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"თოვლის დედოფალი"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** მხ. ფილმი **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** კონცერტი: ქართული ხმები **22.00** სერ. **"სი ეს აი"** **23.00** გადაცემა "მეექვსე გრნობა" **00.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **02.00** მხ. ფილმი

**08.00** მხ. ფილმი **"კარიბის ზღვის მეკობრეები 2"** **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"მეორე სიცოცხლე"** **13.00** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **14.40** წუთისოფელში **15.00** ინტუიცია **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა"** **17.40** სერ. **"მოჯადოებული"** **18.45** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ან. ფილმი "სამსონაძეები" **00.00** ფილმი **"ტრანსპორტერი"** (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) **01.55** მხ. ფილმი **"პელიკანების საქმე"** (**12**) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **04.10** მხ. ფილმი **"სიკვდილის შემდეგ"** (**12**) (ჟ. ვან დამი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** ქართ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **19.00** ქართ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** **23.00** სერ. **"სალომეა"** **00.00** კონცერტი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** მულტფილმი **11.50. 17.50, 21.55** საქართველოს სამართლის ისტორია **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ.ფ.**"შეხვედრა მთაში"** **13.30** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი **"მაგდანას ლურჯა"** **16.20** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.45** მულტფილმი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.20** ფილმი-ოპერა **"დაისი"** **20.40** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.20** დოკ. ფილმი "მწუხრიდან განთიადამდე" **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.40** დოკ. ფილმი "პატრიარქი ლოცავს საქართველოს"

## ოთხშაბათი 5 იანვარი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი", "ადამიანი ობობა" **09.00** საბ. ფილმი **"ინდიელი კარადაში"** **10.50** ან. ფილმი "ჩარეცხილი" **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** მხ. ფ.**"უმცროსი სანტა"** **14.00** საბ. სერ. **"პინოქიო"** **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** სერ.**"საიდუმლო კუნძული"** **19.05** დოკ. ფ. "სანტა კლაუსი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** "შინი" **00.30** მხ.ფ.**"ოცნების გოგონები"** (ბ. ნოულზი) (სუბტ.) **02.45** მოამბე **03.05** მხ. ფილმი **"დიდი ფსონი"** (**12**) (ბ. პიტი) **04.55** მხ. ფილმი **"მოპარული პარვარდი"** (**12**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"გაიცანით კლაუსების ოჯახი"** **01.00** მხ. ფილმი **"სალაპარაკო თემა"** (**12**)

**08.00** ანიმაცია "დუმბო" **10.00** ანიმაცია "განძთა პლანეტა" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.15** მხ. ფილმი **"უკან მომავალში 3"** **14.30** "გუნცაძეები" მე-**3** ს. **15.15** მხ. ფ.**"სანამ შენ გეძინა"** **17.30** დოკ. ფილმი "ჯემის ოჯახის შობა" **18.30** სერ.**"სისხლის საიდუმლო"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ.**"სად არის ელისა"** **22.00** ქართ. მხ. ფილმი **"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2"** **00.00** მხ. ფილმი **"ანტარქტიკა"** **02.00** მხ. ფ. **"მეფე მორიელი"** **04.00** მხ. ფილმი **"პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან 3"**

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"თოვლის დედოფალი"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** გადაცემა "მეექვსე გრნობა" (გან.) **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** კონცერტი: ქართული ხმები **22.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **02.00** მხ. ფილმი

**08.00** მხ. ფილმი **"სახლში მარტოდ დარჩენილი 2"** **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"მეორე სიცოცხლე"** **13.00** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **14.40** წუთისოფელში **15.00** ინტუიცია **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა"** **17.40** სერ. **"მოჯადოებული"** **18.45** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** კონცერტი: იუმორინა **23.00** "პრაიმ-მენიუ" **00.00** კონცერტი: თ. ყვითელაშვილი **01.15** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) (სუბტ.) **03.15** მხ. ფილმი **"წინასწარმეტყველი"** (**12**) (ნ. ქეიჯი) (სუბტ.) **05.15** მხ. ფილმი **"წყალქვეშა საცყროზილე"** (**12**) (ს. სიგალი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** ქართ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **19.00** ქართ. ფილმი **"მხიარული რომანი"** **23.00** სერ. **"სალომეა"** **00.00** კონცერტი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "პატრიარქი ლოცავს საქართველოს" **10.55** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.20** ფილმი-ოპერა **"დაისი"** **13.45** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი **"კაცია ადამიანი"** **16.30** კვირიაკე **17.35** ახალი აღთქმის განმარტებანი **18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.20** მხ. ფილმი **"პირველი მერცხალი"** **20.40** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.25** მოკლემ. ფილმი **"ზურთი და მოედანი"** **22.25** ჩვენ მშვიდობა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** პერსპექტივა **01.35** გადაცემა "კარაბადინი"

## ხუთშაბათი 6 იანვარი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი", "ადამიანი ობობა" **09.00** საბ. ფ. **"პიტერ პენი"** **10.50** ან. ფილმი "ელმოს თავგადასავალი ბუზღუნეთში" **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** მხ. ფილმი **"ქეროლის შობა"** **14.00** საბ. სერ. **"პინოქიო"** **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** სერ. **"საიდუმლო კუნძული"** **19.05** დოკ. ფ. "სანტა კლაუსი" **19.40** პეპეს ზღაპრები **22.00** ქართ. ტელეფილმი "გზა მაცხოვრისა" **23.00** ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული (პირდაპირი ტრ.)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფ.**"უმცროსი სანტა"** **23.00** ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული (პირდაპირი ტრ.) (პირველ არხთან პარალელურ რეჟიმში)

**08.00** ანიმაცია "რქები და ჩლიქები" **10.00** ანიმაცია "გარფილდი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.15** მხ. ფილმი **"ზორო"** **14.30** "გუნცაძეები" მე-**4** ს. **15.15** მხ. ფილმი **"მკვეთრი ვირაჟები"** **17.30** დოკ. ფილმი "ჯემის ოჯახის შობა" **18.30** სერ.**"სისხლის საიდუმლო"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ.**"სად არის ელისა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ.ფ.**"ინდიანა ჯონსი 3"** **02.00** მხ.ფ.**"ფილმი "აბბა"–ზე"** **04.00** მხ. ფილმი **"დაბნეული"**

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"თოვლის დედოფალი"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** მხ. ფილმი **17.30** ანიმაცია **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** კონცერტი: ქართული ხმები **22.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **00.10** მხ. ფილმი

**08.00** მხ. ფილმი **"სახლში მარტოდ დარჩენილი 3"** **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"მეორე სიცოცხლე"** **13.00** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **14.40** წუთისოფელში **15.00** ინტუიცია **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა"** **17.40** სერ. **"მოჯადოებული"** **18.45** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** კონცერტი: იუმორინა **23.30** ან. ფ. "სამსონაძეები" **00.00** კონცერტი: დ. გომართელი **01.30** მხ.ფ.**"ნამდვილი მაკკოი"** (კ. ბესინჯერი) (სუბტ.) **03.35** მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (**12**) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) **05.35** მხ. ფ. **"დამცველი"** (**12**) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** ქართ. ფილმი **"მხიარული რომანი"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **19.00** ქართ. ფილმი **"უდიპლომო სასიძო"** **23.00** სერ. **"სალომეა"** **00.00** საშობაო ლიტურგია (პირდაპირი)

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** გადაცემა "კარაბადინი" **11.00** სუფთა დაფა **11.50, 17.50** საქართველოს სამართლის ისტორია **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.20** მხ. ფილმი **"პირველი მერცხალი"** **13.30** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი **"ლომა"** **16.20** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.45** მულტფილმი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.20** მხ. ფილმი **"იავნანა"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.25** დოკ. ფილმი "ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესამოსელი" **22.25** კონცერტი **23.00** ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ტრანსლაცია სამების ტაძრიდან)

## ხუთშაბათი → პარასკევი 7 იანვარი

**07.00** ალილო **08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი", "ადამიანი ობობა" **09.00** საბ. ფილმი **"ის, რაც საშობაოდ მინდა"** **10.35** საბ. ფილმი **"პრინცი-ბაყაყი"** **12.00, 16.00, 20.00, 03.00** მოამბე **12.30** ჯანო კახიძის საშობაო კონცერტი **13.30** მხ. ფ. **"ზაზუნას დღე"** **15.40** საბავშვო კონცერტი "ლაპრები" **17.00** საბავშვო კონცერტი "ბაბილინა" **18.30** მოკლემ. ფ. **"ქვევრი"** **19.05** დოკ. ფილმი "მაცხოვარი ლატალისა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** ქართ. ფილმი **"ვერის უბნის მელოდიები"** **23.00** კონცერტი: პაატა ბურჭულაძის შემოქმედებითი საღამო **01.00** მხ. ფილმი **"უძინარი სიეტლში"** (მ. რაიანი) **03.20** მხ. ფილმი **"სიახლოვე"** (**15**) (ჯ. რობერტსი) **05.00** მხ. ფილმი **"სახიფათო კავშირები"** (**18**) (მ. პფაიფერი)

**07.00** ალილო **08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი", "ადამიანი ობობა" **09.00** საბ. ფილმი **"ის, რაც საშობაოდ მინდა"** **10.35** საბ. ფილმი **"პრინცი-ბაყაყი"** **12.00, 16.00, 20.00, 03.00** მოამბე **12.30** ჯანო კახიძის საშობაო კონცერტი **13.30** მხ. ფ. **"ზაზუნას დღე"** **15.40** საბავშვო კონცერტი "ლაპრები" **17.00** საბავშვო კონცერტი "ბაბილინა" **18.30** მოკლემ. ფ. **"ქვევრი"** **19.05** დოკ. ფილმი "მაცხოვარი ლატალისა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** ქართ. ფილმი **"ვერის უბნის მელოდიები"** **23.00** კონცერტი: პაატა ბურჭულაძის შემოქმედებითი საღამო **01.00** მხ. ფილმი **"უძინარი სიეტლში"**

**08.00** ანიმაცია "გამყინვარების პერიოდი" **10.00** ანიმაცია "ნემოს ძიებაში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.15** მხ. ფილმი **"ჭირვეულის მორჯულება"** **14.30** "გუნცაძეები" მე-**5** ს. **15.15** მხ. ფილმი **"აბეზარა"** **16.45** მხ. ფილმი **"რას გინახავს, ვეღარ ნახავ"** **18.30** სერ.**"სისხლის საიდუმლო"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ.**"სად არის ელისა"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **00.00** მხ.ფ.**"ინდიანა ჯონსი 4"** **02.00** მხ. ფილმი **"დღე ხვალის შემდეგ"** **04.00** მხ. ფილმი **"მაღალი ქერა შავ ფეხსაცმელში"**

**08.00** მხ. ფილმი **09.30** მულტფილმი **11.00** მხ. ფილმი **12.00** მულტფილმი **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** მხ. ფილმი **15.20** მულტფილმი **16.30** კონცერტი "არჩვაძე და მისი მეგობრები" **18.30** პულსი **19.00** მხ. ფილმი **21.00** კონცერტი: ქართული ხმები **22.00** კონცერტი "მზიანი ახალი წელი" **00.00** მხ. ფილმი **02.00** მხ. ფილმი

**08.00** მხ. ფილმი **"სახლში მარტოდ დარჩენილი 4"** **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"მეორე სიცოცხლე"** **13.00** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **14.40** წუთისოფელში **15.00** ინტუიცია **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა"** **17.40** სერ. **"მოჯადოებული"** **18.45** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** კონცერტი: იუმორინა **23.30** ან. ფ. "სამსონაძეები" **00.00** კონცერტი: ბათუმი **2009** **02.35** მხ. ფილმი **"საშობაო ამბავი"** (პ. კრუსი) (სუბტ.) **04.10** მხ. ფილმი **"შეუპოვარი"** (**12**) (ჰ. ფორდი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** ქართ. ფილმი **"უდიპლომო სასიძო"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **19.00** ქართ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** **23.00** სერ. **"სალომეა"** **00.00** კონცერტი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.35** სიახლენი **10.35** კონცერტი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.20** მხ. ფილმი **"იავნანა"** **13.30** კონცერტი **15.00** პატრიარქის ქადაგება **15.40** მხ. ფილმი **"ლომა, დავიწყებული მეგობარი"** **16.50** მულტფილმი **18.05** პატრიარქის ქადაგება **19.15** მხ. ფილმი **"ამბავი ივანე კოტორაშვილისა"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "დედაო ღვთისა" **00.00** პატრიარქის ქადაგება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

## შაბათი 8 იანვარი

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** საბ. პროგრამა "პლანეტა ბასტი-ბუბუ" **10.00** მხ. ფილმი **"სტიუარტ ლითლი"** **11.30** "ბავშვობანა" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** მოამბე **12.15** მხ. ფილმი **"პატარა ქალები"** (ვ. რაიდერი) **14.20** სპექტაკლი **"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"** **16.15** ქართ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** კონცერტი: ეთერ კაკულია **20.00** მოამბე **21.00** მხ. ფილმი **"სიყვარული ყველას უნდა"** **23.00** კონცერტი: "სინდიკატი" **01.00** მხ. ფ. **"უკეთესი არ არსებობს"** (ჯ. ნიკოლსონი) **03.50** მხ. ფ. **"დაბადება"** (**12**) **05.40** მხ. ფილმი **"სიჩუმის პაქტი"** (**15**)

**08.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** ბრიფინგის დროით (დაიჯესტი) **17.00** ბრიფინგის დროით **17.30** სპექტაკლი **"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"** **19.00** რეგიონის დროით **19.30** საუკუნის პორტრეტები – ი. ხვიჩია **20.00** მხ. ფ. **"ქეროლის შობა"** **21.25** კონცერტი: ჯ. ჯანდიერის საღამო **23.45** მხ. ფილმი **"პასიონადა"**

**08.00** კურიერი **08.30** ანიმაცია "არტური და მინიპუტები" **10.00** ანიმაცია "სუპეროჯახი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.15** მხ. ფილმი **"სინიორ რობინზონი"** **14.30** "გუნცაძეები" მე-**6** ს. **15.15** მხ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** **16.45** მხ. ფილმი **"იმერული ესკიზები"** **18.30** სიცილის ზონა **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ.**"სად არის ელისა"** **21.00** კურიერი **22.00** მხ. ფ. **"მაიტა ნასონი"** **00.00** მხ. ფ. **"აეონ ფლაქსი"** **02.00** მხ. ფილმი **"მე რობოტი"** **04.00** მხ. ფილმი **"მაღალი ქერას დაბრუნება"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** საბ. სერ. **"ოდისეა"** **11.30** პულსი **12.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** სერ. **"ელიზა"** **15.00** მხ. ფილმი **17.00** გადაცემა "მეექვსე გრნობა" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **21.00** სერ. **"სი ეს აი"** **22.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** მხ. ფილმი **02.00** მხ. ფილმი

**08.00** ან. ფილმი "ალადინი" **09.00** მხ. ფ. **"მელოტი ძიძა"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.10** სერ. **"მონსტრებთან მებრძოლები"** **12.00** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** **1**-ლი ს. **13.00** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **14.30** ბოიარის ციხესიმაგრე **15.00** თბილისი ლაივი **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა"** **17.40** სერ. **"მოჯადოებული"** **18.45** სერ.**"ლოზას საიდუმლო"** **20.30** ან. ფ. "სამსონაძეები" **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** კონცერტი: იუმორინა **23.30** ამერიკული დაჯილდოების ცერემონია – ხალხის არჩევანი **2010** **01.00** მხ. ფილმი **"ჩვევად ქცეული ქორწინება"** (კ. ბესინჯერი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** (სუბტ.) **05.15** მხ. ფ. **"კრისტი"** (სუბტ.)

**08.30** "დრო" **09.00** სერ. **"სალომეა"** **10.00** დილის ტალღა **12.00** ფერისცვალება **12.30, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** ქართ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** **14.30** დროის ვექტორი **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **17.30, 20.30** "დრო" **19.00** ქართ. ფილმი **"ისინი ჩამოვიდნენ მთიდან"** **23.00** სერ. **"სალომეა"** **00.00** მხ. ფილმი **"ქალის სურნელი"**

ერთსულოვნება **08.20** მულტფილმი **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **09.05, 12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** კვირიაკე **12.20** მხ. ფილმი **"ამბავი ივანე კოტორაშვილისა"** **13.30** კონცერტი **15.10** ოპერა **18.05** სატ. არქივიდან "საახალწლო შოუ" გვილოცავენ ექიმები **19.15** ქართული ალბომი **19.30** მხ. ფილმი **"მოიტაცეს თამარ ქალი"** **21.05** პატრიარქის მილოცვა **21.20** გამოყენებითი ხელოვნება **21.30** სამედიცინო გადაცემა "კარაბადინი" **22.20** ჩემი ქალაქი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **00.35** კონცერტი **02.00** მხ. ფ. **"წკიპურტები"**

## კვირა 9 იანვარი

**07.00** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **08.00** საბ. პროგრამა "პლანეტა ბასტი-ბუბუ" **10.00** მხ. ფილმი **"სტიუარტ ლითლი 2"** **12.00, 16.00, 20.00, 03.00** მოამბე **12.15** მხ. ფ. **"ოსტინ პაუერსი"** **14.00** ჩვენი ფერმა **14.30** ძველი ადიშა – "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" **15.30** ჩვენი სამართალი **16.15** ჩვენი ეზო **17.00** ქართ. ფ. **"სუფთა დაფა"** **17.30** ვაშინგტონი დღეს **18.00** ქართ. ფილმი **"მასწავლებლის ვ[illegible]და"** **20.00** კონცერტი– "ერისიონი" **21.00** ცხოვრება მშვენიერია **22.00** ქართ. სერ. **"ჯა-17"** **23.00** კონცერტი: თბილისის ბიგ-ბენდი **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფილმი **"[illegible] ის"** (**12**) (რ. დე ნირო) **03.20** მხ. ფილმი **"მისის სტოუნის რომაული გაზაფხული"** (**18**) (ჰ. მირენი)

**08.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა (დაიჯესტი) **11.20** ქართ. ფილმი **"[illegible]"** **15.00** სპექტაკლი **"როგორც გინდოდ, ანუ შობის მეთორმეტე ღამე"** **18.00** მხ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** **19.10** კონცერტი– შეხვედრები ნია ბახტაძესთან **20.40** ქართ. ფილმი **"სიყვარული ყველას უნდა"** **22.00** ფილმი-კონცერტი: **"ჩხიკვთა ქორწილი"** **23.50** მხ. ფილმი **"უკეთესი არ არსებობს"**

**08.00** "კურიერი პ.ს." დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "არტური და მალთაზარის შურისძიება" **10.00** ანიმაცია "მონსტრების კორპორაცია" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.15** მხ. ფილმი **"რომაული არდადეგები"** **15.15** მხ. ფილმი **"მანანა"** **16.45** მხ. ფ. **"ცისფერი მთები"** **18.30** სიცილის ზონა **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **21.00** კომედი-შოუ (საუკეთესო) **22.00** მხ. ფილმი **"[illegible]"** **00.00** მხ. ფილმი **"მკვლელები"** **02.00** მხ. ფილმი **"[illegible]"** **04.00** მხ. ფილმი **"ფანტომასი სკოტლანდ-იარდის წინააღმდეგ"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** გადაცემა "ტვ-ტესტი" **11.30** პულსი **12.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** სერ. **"ელიზა"** **15.00** მხ. ფილმი **17.00** მულტფილმი **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **21.00** სერ. **"სი ეს აი"** **22.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** მხ. ფილმი **02.00** მხ. ფილმი

**08.00** ან. ფილმი "ალადინი" **09.00** ან. ფილმი "საშობაო სიმღერა" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.10** სერ. **"მონსტრებთან მებრძოლები"** **12.00** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** **13.00** სერ. **"[illegible]"** **1-2** ს. **14.30** ნანუკას შოუ (გან.) **16.00** ბოიარის ციხესიმაგრე **17.45** ეტალონი **18.45** კონცერტი: ბუბა კიკაბიძე **20.15** კონცერტი: ნუცას სკოლის ახალი კონცერტი **1**-ლი ნ. **22.00** კონცერტი: იუმორინა **23.30** ან. ფ. "სამსონაძეები" **00.00** კონცერტი: ლელა წურწუმია **01.00** მხ. ფ.**"[illegible]"** (**12**) (ბ. უილისი) (სუბტ.) **03.30** მხ. ფილმი **"მინდა გახსოვდე"** (**12**) (რ. პატინსონი) (სუბტ.)

**08.30** "დრო" **09.00** სერ. **"სალომეა"** **10.00** დილის ტალღა **12.30, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** ქართ. ფილმი **"ისინი ჩამოვიდნენ მთიდან"** **14.30** "დრო" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **17.30, 20.30, 22.30** "დრო" **19.00** ქართ. ფ. **"ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი"** **23.00** სერ. **"სალომეა"** **00.00** მხ. ფ. **"ნოტინგ ჰილი"**

ერთსულოვნება **08.00** დილის ლოცვა **08.30** მულტფილმი **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **09.05, 12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **09.10** განთიადი (კოლაჟი) **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** ჩემი ქალაქი **11.15** [illegible] **11.30** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **12.20** მხ. ფილმი **"მოიტაცეს თამარ ქალი"** **13.50** კონცერტი **14.30** გადაცემა "კარაბადინი" **15.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** კონცერტი **17.40** ეთნოგრაფიული ჩანახატი "ჩიჩილაკი" **18.00** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.00** კონცერტი **19.30** მხ. ფ. **"გიორგობის თვე"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **24.00** პატრიარქის ქადაგება **00.40** ოპერა

# აკა მორჩილაძის „მამლუქი“ 10.000-დ შეფასდა

ეკა ირემაშვილი

## ფული ბაკურ სულაკაურმა წაიღო



2010 წლის საუკეთესო რომანად აკა მორჩილაძის „მამლუქი“ დასახელდა. სწორედ მან მიიღო 10 ათასი ლარი. ლიტერატურული კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააწესა. პრემიის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“ გაიმართა.

ეს იყო რიგით პირველი ლიტერატურული კონკურსი. მასში 20 ქართული რომანი მონაწილეობდა.

ვინაიდან გამარჯვებული ამჟამად ლონდონში ცხოვრობს, მის მიერ მოგებული 10 ათასი ლარი კონკურსის ორგანიზატორებმა მის გამომცემელს, ბაკურ სულაკაურს გადასცეს. „მამლუქი“ სულაკაურის გამომცემლობამ 2009 წელს გამოსცა.

აკა მორჩილაძე გიორგი ახვლედიანის ფსევდონიმია. მწერალი, ისტორიკოსი და დრამატურგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. აქვე მუშაობს ბოლო 17 წლის განმავლობაში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. 90-იან წლებში იგი საპარლამენტო სხდომების მიმომხილველად მუშაობდა „რეზონანსის“ და სხვა გაზეთებისთვის.

აკა მორჩილაძე საკუთარ თავს საკმაოდ კრიტიკულად აფასებს:

— ჩვენთან მწერლად ყოფნა სულ სხვა რამეა, დანარჩენ მსოფლიოში კი სულ სხვა. ამიტომ, მე მწერლად თავს ვერ ჩავთვლი. ჩემის მოკლე ჭკუით, ამას ისა სჯობს, რომ აღიარო, წერა მსიამოვნებს და ვწერ, ვინაიდან ამის უფლება ყველას აქვს-თქო.

აკა მორჩილაძის მთავარი ლიტერატურული ნამუშევრებია: „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, „გაქრები მადათოვზე“, „მოგზაურობა ყარაბაღში“, „აგვისტოს პასიანსი“, „სხვანი“, „შობის ღამის ალქაჯები“, „სანტა ესპერანსა“ და ნაწარმოებები. რომანი „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ მოგვიანებით ადაპტირებულ იქნა პიესად და პირველად 1999 წელს დაიდგა სანდრო ახმეტელის თეატრში. მასში 1992-93 მძიმე წლების ქართული ცხოვრებაა აღწერილი.

აკა მორჩილაძის ნაწარმოებები ხშირად ხდება კინორეჟისორთა ინტერესის არეალში. მისი ნაწარმოებების მიხედვით არაერთი ქართული კინოსურათია შექმნილი.

ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული ილიას უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ პირადად დაასახელა. აკა მორჩილაძის გარდა, საპრიზო ადგილები დაიკავეს ზაზა ბურჭულაძისა და ლაშა ბუღაძის რომანებმა. ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“ მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“ მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

ოცკაციანმა ჟიურიმ გამარჯვებული რომანი ხმათა უმრავლესობით დაასახელა. ჟიურიში ილიას უნივერსიტეტის 9 სტუდენტი და 11 ლექტორი შედიოდნენ.

# სანტა-კლაუსი თოვლის ბაბუამ შეცვალა

ეკა ირემაშვილი

ახალი წლის დადგომასთან ერთად მთაწმინდის პარკის კოშკში დაბანაკებული სანტა-კლაუსი სვანეთიდან ჩამოსულმა თოვლის ბაბუამ შეცვალა.

სანტა-კლაუსი ქართველ პატარებთან ლაპლანდიიდან ჩამოვიდა და პატარები საჩუქრებით გაანებივრა. სანტა „ვარდების მოედანზე“ განთავსებულ საახალწლო სოფელშიც მივიდა და ბავშვებს შეხვდა. უკვე იქედან კი სანტა-კლაუსი თავისი მარხილით მთაწმინდის პარკისკენ გაემართა, სადაც ერთი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა.

— დღეს მოწყენილი ვარ, რადგან თქვენგან მივდივარ, მაგრამ რა ვქნა, სხვა ქვეყანაშიც უნდა წავიდე. სხვა ქვეყნების ბავშვებსაც უნდა მივულოცო ახალი წელი. მაგრამ ბედნიერი ვარ, ქართველო ბავშვებო, რომ თქვენც შეგხვდით. მე აქ ქართულიც ვისწავლე, — განაცხადა სანტამ.

სანტა ბავშვებს 31 დეკემბრამდე ილებდა და საჩუქრის გარეშე არც მათგანს არ უშვებდა. 1 იანვარიდან კი სანტა კლაუსი უკვე ქართველმა თოვლის ბაბუამ შეცვალა და 15 იანვრამდე პატარებს საჩუქრებს გადასცემს.

როგორც დედაქალაქის მერიაში ამბობენ, საახალწლო ღონისძიებები მთელი თბილისის მასშტაბით 15 იანვრამდე გაგრძელდება. პარლამენტის შენობის წინ უკვე აინთო დედაქალაქის მთავარი ნაძვის ხე. პარლამენტის შენობაზე კი სამი ვიდეოპროექციის პრეზენტაციაც შედგა. პატარებისთვის დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება.

სასტუმრო „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ილუზიონისტების და ანიმატორების შოუები გაიმართება. მთაწმინდის პარკში კი ქართველი მომღერლების მონაწილეობით პოპ-მუსიკის კონცერტი ჩატარდება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ გოგოლა კალანდაძე, მალხაზ ქვრივიშვილი, რუსა მორჩილაძე, „სეიშენი“, დუეტი „ჯორჯია“, ნოდიკო ტატიშვილი, თიკა ჯამბურია, მარიკა თხელიძე, მამუკა ონაშვილი, ზურა დოიჯაშვილი, ეთერ კაკულია, ლევან ჩიჩუა, ალეკო ბერძენიშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, თაკო გაჩეჩილაძე, ქრისტინე იმედაძე, ნინი ბადურაშვილი, ქეთი ფარესაშვილი, მარიამ კახელიშვილი, ნინი შერმადინი, ლაშა ღლონტი, ანი კეკუა, ნინა წკრიალაშვილი, მარიამ როინიშვილი, ანსამბლი „ჩოხოსნები“. საახალწლო პროგრამა პატარებისთვის 7 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

საახალწლო ღონისძიებები სხვადასხვა დღეს ჩატარდება ვარდების რევოლუციის მოედანზე, გლდანის პარკში. კონცერტებში ქართველი მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას და პოპ-მუსიკის კონცერტებიც მხიარულად დაგვირგვინდება.

7 იანვრამდე ყოველდღიურად საახალწლო სოფლებში საბავშვო წარმოდგენები გაიმართება.

# მაია დობორჯგინიძე რეჟისორი გახდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სთავაზობს. თავისუფალ თეატრში წარმოდგენილი იქნება კარლო გოლდონის „მშვენიერი ქართველი ქალი“. სპექტაკლის მხატვარი მირიან შველიძეა, კომპოზიტორი — ვახტანგ კახიძე. სპექტაკლში დაკავებული არიან თამუნა ნიკოლაძე, გოგა ბარბაქაძე, ჯაბა კილაძე, კახა მიქიაშვილი, აპოლონ კუბლაშვილი, მარიამ ჯოლოგუა, ქეთა ლორთქიფანიძე, მამუკა მუმლაძე და სლავა ნათენაძე.

ამდენი პრემიერის გამოშვების მიუხედავად, თავისუფალ თეატრში კიდევ რამდენიმე სპექტაკლი მზადდება. ავთო ვარსიმაშვილი თამრი ფხაკაძის „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ მიხედვით გამოუშვებს სპექტაკლს, სადაც მთავარ როლებში სანდრო მარგალიტაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია და ვანო ქურასბედიანი არიან დაკავებული. მაყურებლისთვის ნაჩვენები იქნება იბსენის „თოჯინების სახლის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლიც, რომლის რეჟისორიც ვანო ხუციშვილია.

ავთო ვარსიმაშვილი თეატრალური სივრცის პარალელურად, კვლავ გადაინაცვლებს კინოსამყაროში და გადაიღებს ახალ მხატვრულ ფილმს „მიდი ძმაო, მიდი“, რომლის ოპერატორიც მიხეილ მაღალაშვილია, კომპოზიტორი კი — ზუმბა.

# კალიგრაფიის კონკურსი იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არასამთავრობო ორგანიზაცია „წამთან“ ერთად იწყებენ კონკურსს „ქართული კალიგრაფია“. კონკურსი ტარდება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. კონკურსის მიზანია ხელით წერის კულტურის განვითარება და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების VII-XII კლასის მოსწავლეებს, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებს, სხვა ზრდასრულ დაინტერესებულ პირებსა და საზღვაგარეთ მცხოვრებ ქართველებსაც.

კალიგრაფიის კონკურსი სამ ტურს მოიცავს. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან. ჯილდოებს დააწესებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „წამი“ და მხარდამჭერი ორგანიზაციები.





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.


# ესტონეთი ევროზონაში შესვლას აღნიშნავს

საახალწლო დღესასწაულების დროს ესტონელები ახალი წლის გარდა ერთმანეთს ახალ ვალუტასაც ულოცავდნენ.

ახალი წლის ღამეს ესტონეთი პოსტსაბჭოთა სივრცის პირველი ქვეყანა გახდა, სადაც მიმოქცევაში ევრო შემოვიდა.

ევროს შემოღება ევროინტეგრაციის გზაზე ესტონეთის მთთვრობის ძალისხმევის დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ესტონეთი ბოლო 12 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, ესტონელების უმეტესობა ამ ნაბიჯს მიესალმა.

ესტონეთი მე-17 ქვეყანაა, სადაც მიმოქცევაში ევრო შემოვიდა.

ბალტიისპირეთის ამ ქვეყნის ევროზონაში შესვლას თავად ესტონელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ევროზონისათვის იგი უფრო სიმბოლურ ნაბიჯს წარმოადგენს.

ესტონეთის ეკონომიკა, რომელიც 15.5 მილიარდ ევროდ არის შეფასებული, ძალიან მცირეა იმისათვის, რომ ევროზონაზე რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს. ევროზონის ერთიანი შიდა პროდუქტი 9.5 ტრილიონ ევროდ არის შეფასებული.

ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ ევროზონაში ესტონეთის შესვლას მიესალმა.

მისი თქმით, ევრო ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით არსებობს და ესტონეთის ევროზონაში შესვლას ნიშნავს, რომ ამჟამად 330 მილიონზე მეტი ევროპელი ევროს კუპიურებით და მონეტებით ისარგებლებს.

ეკონომისტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთს მტკივნეული სტრუქტურული რეფორმების გავლა მოუწევს, იგი მაინც მოგებული დარჩება.

უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში ესტონეთი, რომელმაც დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა, ევროზონის ყველაზე ღარიბი ქვეყანა იქნება.

ევროს შემოღებასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებები მოიცავს აგრეთვე გალა კონცერტს, რომლის დროსაც კომპოზიტორ ჯორჯ გერშვინის ნაწარმოებები შესრულდება.




ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ანდრუს ანსიპმა ახალი წლის დადგომასთან ერთად ბანკომატიდან სიმბოლურად პირველი ევრო აიღო.

ბანკების ზოგიერთი განყოფილება ახალი წლის ღამეს მოქალაქეებს ევროს აღების შესაძლებლობას აძლევდა, თუმცა, პოლიციამ, მძარცველების შიშით, მოსახლეობას მოუწოდა, ახალი წლის ღამეს საჭიროების გარეშე მსხვილი თანხები არ მოეხსნათ.

სლოვენიისა და სლოვაკეთის შემდეგ ესტონეთი აღმოსავლეთ ევროპის მესამე ქვეყანაა, რომელიც ევროზონის წევრი გახდა.

რეგიონის შვიდი სხვა ქვეყანა, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, ლიტვა და ლატვია უახლოეს მომავალში ასევე ევროზონის წევრი უნდა გახდეს, თუმცა, ზუსტი ვადები დადგენილი არ არის.

მიუხედავად ამისა, ლატვიასა და ლიტვას ევროზონაში გაერთიანებას 2014 წლისათვის დაჰპირდნენ.

# ესპანეთი ევროპის ყველაზე ანტინიკოტინური ქვეყანა გახდა

ესპანეთში ძალაში შევიდა თამბაქოს მოწევის აკრძალვა საზოგადოებრივი კვების ყველა ობიექტზე, მათ შორის ღია ცის ქვეშ, გარდა ამისა, საავადმყოფოების, სკოლებისა და სპორტული მოედნების მახლობლად.

გარდა ამისა, მოკიდებული სიგარეტით ტელეეკრანებზე გამოჩენაც აიკრძალა.

ამ აკრძალვების შემოღების შემდეგ ესპანეთი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე „ანტინიკოტინურ“ ქვეყნად იქცა.

2006 წელს მიღებული კანონი სიგარეტის მოწევას კრძალავს სამსახურში და მსხვილ რესტორნებში. მცირე დაწესებულებებში თამბაქოს მოწევის აკრძალვა-ნებადართვის საკითხი თავად მფლობელებს მიანდეს, რომელთა უმეტესობამაც ამჯობინა, მომხმარებელი არ შეეზღუდათ.

კაფეები და ღვინის ბარები ცხოვრების ესპანური წესის განუყრელი ნაწილია. დარგის მესვეურების თქმით, ახალი წესების შემოღება მომხმარებლების და შემოსავლების 10%-ით შემცირებას გამოიწვევს.

ამჟამად ესპანეთი ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება.

მიუხედავად ამისა, მედიკოსებმა და საზოგადოებრივმა აქტივისტებმა თამბაქოს საწინააღმდეგო კანონმდებლობის გამკაცრება მოითხოვეს. ექიმების მონაცემებით, დაავადებების შედეგად, რაც სავარაუდოდ, თამბაქოს მოწევით შეიძლება იყოს გამოწვეული, ესპანეთში ყოველწლიურად 160 ადამიანი იღუპება.

**მოამზადა გენადი თვაურმა**


## განცხადებები

● იყიდება საკარმოდამო მიწის ნაკვეთი 2000 და 2500 კვ.მ. სასმელი და სარწყავი წყლით, ხეხილით, მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში. თბილისიდან 30 კმ-ში. ფასი 1 კვ.მ 2 დოლარი. ტელ: 890-53-02-41; 53-15-87;

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი, 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● ვყიდი 37,5 კვ-იან დიზელის გენერატორს და ვიყიდი 15 ან 20 კვ-იან დიზელის გენერატორს. შესაძლებელია გაცვლაც. ტელ.: 890-388-142. 899-388-141.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა დიდი ლოჯით, სამზარეულოთი, ვანა-ტუალეტით. საერთო ფართი 54 კვ.მ. იტალიური ეზოს მე-2 სართულზე (ხარფუხში, დემირელის სკოლასთან). ტელ.: 857 99 05 40.

● უძილობა, შიში, აკვიატებული აზრები, დეპრესიები, ნევროზი, კლიმაქსური ფონი, პოტენციის დაქვეითება ქალებსა და მამაკაცებში, კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: უსიამოვნო სუნი პირიდან, დისბაქტერიოზი, კოლიტი, ღვიძლისა და ნაღვლის განწმენდა ალკოჰოლური და ნარკოტიკული ტოქსინებისაგან, ყველაფერი უახლესი ტექნოლოგიებით დამზადებული მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-თან მიახლოებული შედეგით. ტელ: 899-90-54-78; 34-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● იყიდება ავტომობილი „ნივა“ კარგ მდგომარეობაში, ფასი 2000. ტელ:. 899 932 732.

SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● იყიდება არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა, შუშაბანდით, მე-2 სართულზე, დიდი აივნით, ბუხრით, ფართი - 90 კვ.მ. მისამართი: ტ.გრანელის 5, საბჭოს მოედანი, ძეგლის გვერდით. ტელ: 30 75 02; 855 13 37 53.

# ალექსანდრიაში კოპტების ტაძართან აფეთქება მოხდა

ეგვიპტეში, კოპტების ტაძართან მომხდარი აფეთქების შედეგად არანაკლებ 21 ადამიანი დაიღუპა, 70-ზე მეტი დაშავდა.

ოფიციალური პირების განცხადებით, ქალაქ ალექსანდრიაში საახალწლო მღვდელმსახურების დროს აფეთქება „უცხოური კავშირების მქონე თვითმკვლელი ტერორისტის“ მიერ იყო ორგანიზებული.

აფეთქების შემდეგ ქუჩაში ქრისტიან კოპტებსა და მუსლიმანებს შორის შეტაკება დაიწყო, რომელიც შემთხვევის ადგილზე მოსულმა პოლიციამ აღკვეთა.

დაღუპულების დაკრძალვა ახალი შეტაკებების მიზეზად იქცა. ხუთი ათასამდე კოპტმა პოლიციას ქვების და ბოთლების სროლა დაუწყო, პასუხად, პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა.

სამგლოვიარო ცერემონიალის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის თანაგრძნობას არ იღებენ.

ეგვიპტის ლიდერმა ქვეყნის მოსახლეობას „ტერორისტების“ წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობისაკენ მოუწოდა. სატელევიზიო გამოსვლაში მან აფეთქების პასუხისმგებლობა „უცხოურ ძალებს“ დააკისრა.

მისი თქმით, ეს ტერორისტული ოპერაცია ეგვიპტისათვის სრულიად უცხოა.

ჯერჯერობით თავდასხმის პასუხისმგებლობა არავის უტვირთია.

ბოლო დროს მთელს ეგვიპტეში სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა დაპირისპირების შემთხვევები გახშირდა. ანალოგიური შემთხვევები ეგვიპტის სხვა ქვეყნებშიც მოხდა.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს თითქმის ერთი წლის წინ ექვსი ქრისტიანი პირდაპირ ქუჩაში დახოცეს.

ბოლო დროს ეგვიპტეში საგრძნობლად გამწვავდა დაპირისპირება მუსლიმან სუნიტებსა და ქრისტიან კოპტებს შორის, რომლებიც ბოლო დროს მომეტებული რელიგიურობით გამოიჩინეს თავი.




მოსახლეობის მზარდი პოლარიზაციის პასუხისმგებლობას აკისრებენ სასკოლო განათლებას, პოლიტიკური ნების უქონლობას, გარდა ამისა, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს.

კრიტიკას იწვევს აგრეთვე პოლიციის უნიათობა. რიგ შემთხვევებში ხელისუფლები მსგავს უმნიშვნელო ინციდენტებზე დაგვიანებით რეაგირებენ, რის შედეგადაც ხშირად ისინი უკონტროლო მასშტაბებს იღებენ.

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პოლიცია განურჩევლად აპატიმრებს როგორც ქრისტიანებს, ასევე მუსლიმანებს. დაპატიმრების შემდეგ შემარიგებელი შეხვედრები იმართება და შემთხვევების 99% დამნაშავეების დასჯის გარეშე მთავრდება.

ოფიციალური პირები რელიგიური დაპირისპირების არსებობას უარყოფენ და მსგავს შემთხვევებს მხოლოდ უცხოური მტრული ძალების ზეგავლენით ხსნიან.

ბოლო შემთხვევის დროს ალექსანდრიის გარეუბანში, სიდი ბეჰრის რაიონში ქრისტიანულ ეკლესიაში საახალწლო წირვის დროს ეკლესიის მახლობლად აფეთქება მოხდა. ამ დროს წირვას 100-მდე ადამიანი ესწრებოდა.

ოფიციალური პირების თავდაპირველი განცხდებით, აფეთქდა დანაღმული ავტომობილი, შემდგომ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა, რომელიც სხვებთან ერთად დაიღუპა.

კოპტების უზენაესმა სასულიერო ლიდერმა ალექსანდრიაში, არქიეპისკოპოსმა არვეისმა განაცხადა, რომ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა დანაღმული ავტომობილის ვერსიაზე უარი თქვეს და ყველაფერი თვითმკვლელით ახსნეს, რადგან სურთ, საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს დანაშაული ერთი პიროვნების მიერ არის ჩადენილი.

გარდა ამისა, მან აღშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ ეკლესიასთან დაცვა არ იყო ორგანიზებული.

ხელისუფლებმა ეკლესიის დაცვის გაძლიერების შესახებ ოქტომბრის ბოლოს გამოაცხადა, მას შემდეგ, რაც დაჯგუფებამ, სახელწოდებით „ისლამური სახელმწიფო ერაყი“ ეგვიპტელი კოპტების მისამართით მუქარის განცხდება გაავრცელა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ავსტრალიაში „ბიბლიური წარღვნა“ გრძელდება

ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქვინსლენდის შტატში 200 ათასამდე ადამიანია ევაკუირებული, ან არნახული მასშტაბების წყალდიდობის შედეგად გარე სამოყაროს არის მოწყვეტილი.

შტატის ფინანსთა მინისტრმა ენდრიუ ფრეიზერმა წყალდიდობას უკვე „მსოფლიო წარღვნა“ უწოდა.

კვირას გავრცელდა ინფორმაცია წყალდიდობის შედეგად პირველი დაღუპულის შესახებ. ნიაღვარმა გზიდან ავტომობილი გადარეცხადა და მისი მძღოლი ქალი დაიღუპა.




ორი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

სტიქურმა უბედურებამ 20-მდე დასახლებული პუნქტი მოიცვა. წყალდიდობით დაზარალებული ტერიტორია ფართობით საფრანგეთს აღემატება.

დაზარალებული დასახლებული პუნქტებიდან ყველაზე დიდია როკსჰემპტონი, რომლის მოსახლეობა 77 ათას ადამიანს შეადგენს. აქ წყალდიდობა, პროგნოზების თანახმად, კიდევ უფრო გაძლიერდება და არანაკლებ ორ კვირას გასტანს.

ორ დასახლებულ პუნქტში, თეოდორსა და კონდამინში მოსახლეობა მთლიანად არის გახიზნული. სხვა დასახლებებში სურსათს და პირველადი მიხმარების საგნებს ვერტმფრენებით აწვდიან. რიგ შემთხვევებში ხელისუფლები იძულებული გახდნენ, იძულებით ევაკუაციისათვის მიემართათ.

წყალდიდობის მიზეზად იქცა არნახულად უხვი გაზაფხულის წვიმები. შედეგად ნაპირებიდან გადმოვიდა ექვსი მდინარე.

მნიშვნელოვან ზარალს განიცდის შტატის ეკონომიკა, სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი. განადგურებულია გზები, ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები.

დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა მსხვილ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, ავსტრალიის ლიდერად ითვლება, დაზარალებულების მისამართით გულწრფელი თანაგრძნობა გამოხატა.

ქვინსლენდი მოსახლეობის ოდენობის მიხედვით ავსტრალიის მესამე შტატია, აქ დაახლოებით ოთხი მილიონი ადმიანი ცხოვრობს. დედაქალაქია ბრისბენი, ეკონომიკის მთავარი მიმართულებები — აეროკოსმოსური მრწევველობა, ქვანახშირისა და ფერადი ლითონების მპოვება, მესაქონლეობა, ბანანების, ანანასის, არაქისის და შაქრის ლერწმის პლანტაციები.

ქუინსლენდს მეტსახელად „მზიან“ და „ჭკვიან“ შტატს უწოდებენ. ქუინსლენდის სანაპიროსთან მდებარეობს დიდი ბარიერული რიფის ნაწილი, რომელიც მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნაწილად არის აღიარებული.

## 3 - 8 იანვარი
## ამინდის პროგნოზი

**სოხუმი**

03.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
04.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
05.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
06.01 ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 3-4
07.01 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 2-3
08.01 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 1-2
09.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 2-3

**ზუგდიდი**

03.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
04.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
05.01 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 5-6
06.01 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 5-6
07.01 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 3-4
08.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 3-4
09.01 ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 3-4

**ბათუმი**

03.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 11-12
04.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 10-11
05.01 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 6-7
06.01 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 6-7
07.01 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 4-5
08.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
09.01 მზე, დღისით — 11-12, ღამით — 5-6

**ქუთაისი**

03.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
04.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
05.01 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 6-7
06.01 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 6-7
07.01 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 4-5
08.01 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 3-4
09.01 მზე, დღისით — 9-10, ღამით — 4-5

**გორი**

03.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 2-3
04.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 4-5
05.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
06.01 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 2-3
07.01 წვიმა, დღისით — 4-5, ღამით — 2-3
08.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 4-5, ღამით — 1-2
09.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -1-0

**თბილისი**

03.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
04.01 მზე, დღისით — 10-11, ღამით — 3-4
05.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
06.01 წვიმა, დღისით — 4-5, ღამით — 0-1
07.01 წვიმა, დღისით — 3-4, ღამით — 0-1
08.01 წვიმა, დღისით — 3-4, ღამით — -1-0
09.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — -1-0

**გურჯაანი**

03.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 1-2
04.01 მზე, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
05.01 მზე, დღისით — 11-12, ღამით — 1-2
06.01 წვიმა, დღისით — 3-4, ღამით — 0-1
07.01 წვიმა, დღისით — 2-3, ღამით — -1-0
08.01 წვიმა, დღისით — 2-3, ღამით — -3 -2
09.01 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — -4 -3

**მანგლისი**

03.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 1-2
04.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 1-2
05.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 0-1
06.01 წვიმა, დღისით — 2-3, ღამით — -2 -1
07.01 თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — -3 -2
08.01 თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — -3 -2
09.01 მზე, ღრუბელი, დღისით — 2-3, ღამით — -4 -3

**დმანისი**

03.01 მზე, ღრუბელი, დღისით — -1-0, ღამით — -14 -13
04.01 მზე, დღისით — -1-0, ღამით — -13 -12
05.01 მზე, ღრუბელი, დღისით — -2 -1, ღამით — -11 -10
06.01 თოვლი, დღისით — -8 -7 , ღამით — -12 -11
07.01 თოვლი, დღისით — -9 -8, ღამით — -15 -14
08.01 თოვლი, დღისით — -10 -9, ღამით — -17 -16
09.01 მზე, ღრუბელი, დღისით — -8 -7, ღამით — -19 -18

გ.თ.

## კროსვორდი



1. თხის ჯოგი; 2. ჭადრაკის ფიგურა; 3. ქართველთა დასახლება საფრანგეთში; 4. გარიყრაჟი; 5. ...-ანჯელესი; 6. მოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 7. ... ბონაპატრე; 8. ქალაქი დასავლეთ საქართველოში; 9. ყველა სენის „სარგო წამალი“; 10. ეკლესიიდან განდევნა; 11. ქინქლა; 12. უეცარი შიში; 13. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 14. მეფის მხლებლები; 15. ღობეზე გადასასვლელი ადგილი; 16. საფოსტო გზავნილი; 17. ტბა სომხეთში; 18. საფრენი აპარატი; 19. წლოვანება; 20. ყნოსვის უქონლობა; 21. ქალბატონი (ესპანურად); 22. თიხა; 23. არგონავტების ხომალდი; 24. ზმნის წარსული დრო; 25. ძვირფასი ქვა; 26. მწვერვალი დუშეთის რაიონში; 27. მდინარე იტალიაში; 28. ...ნიორაძე; 29. ...უილენშპიგელი; 30. ერთგვარი შეძახილი კონცერტზე; 31. რუსი მხატვარი; 32. სამხედრო წოდება.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომეიში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხორშაკი; 2. ბრისტოლი; 3. ესპარცეტი; 4. ფორტუნა; 5. მენდელსონი; 10. ბასტრი; 11. კატმანდუ; 12. რეზიუმე; 13. კომედია; 16. ბარისტერი; 17. სალივანი; 19. აფხაზეთი; 21. კუკნა; 23. შორტი.

**თარაზულად:** 6. კონტრაბასი; 7. სოკრატე; 8. ფაშატი; 9. ფრეჟიუსი; 14. „კოხინორი“; 15. ხუზისტანი; 18. ბედია; 20. გამპერი; 22. იაშვილი; 24. „ტულუზა“; 25. მემორინე; 26. ტიტანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მერანო; 2. კიბუცი; 3. „შავლეგო“; 4. ლიკეუმი; 5. „სალხინო“; 7. დუმფარა; 11. შარმი; 12. ტუნდრა; 13. კოლიზია; 14. ბორხესი; 15. კოიოტი; 17. ნაბობი; 19. გიტი.

**თარაზულად:** 5. სომელიე; 6. რევანში; 8. ცემი; 9. მენიუ; 10. იუმორი; 11. შოთი; 13. კატმანდუ; 14. ბორტი; 16. ანოდი; 18. ვალიო; 20. სეპტიმა; 21. ტყიბული.

# ლევან ცაგურია: არაფერს ვნანობ!

**პროფესიონალურ სუმოში 8 ევროპელი სეკიტორია. აქედან 3 — ქართველი. წელს ზუსტად 19 წელი შესრულდება, რაც ქართული სუმოს პიონერმა ლევან ცაგურიამ პროფესიულ სუმოში შეაბიჯა. სწორედ კოკაი (ითარგმნება, როგორც შავი ზღვა გახლდათ პირველი სპორტსმენი, რომელმაც „ბებერი კონტინენტის" წარმომადგენელთა შორის სეკიტორის წოდებას უწია (ამ ტიტულს მხოლოდ უმაღლეს, მაკუუჩისა და ურიოს დივიზიონებში მყოფი სუმოისტები იღებენ და §9 საუკეთესო მებრ ოლს შორის ადგილი დაიბევა. მას შემდეგ ელიტაში გარევა კიდევ რვა ევროპელმა შე ლო და ორი მათგანი — ესტონელი ბარუტო და ბულგარელი კოტოოშუ — სუმოს იერარქიის მე-2 საფეხურზე არიან და ო ეკის ტიტულს ატარებენ, თუმცა, კოკაის მიღწევა ყოველთვის გამორჩეულად დარჩება. 28 წლის ლევან ცაგურიას ინტერვიუში უამრავი ისეთი დეტალია, რომელიც სუმოს ქართველ გულშემატკივარს უდავოდ დააინტერესებს.**



დაიბადა 1981 წლის 10 მარტს საქართველოში, აფხაზეთში. 1999 წელს თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. 2001 წელს ლევანი ოიტეკაძეს სკოლაში მიიღეს, საბრძოლო მეტსახელი კოკაი უბოძეს და მაისში სუმოტორიშიც ჩაირიცხა. 2004 წლის იანვარში მას უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში დებიუტი ჰქონდა, 2006 წლის მიწურულს კი სუმოს იერარქიაში მე-4 საფეხურს — კომუსუბის ტიტულს უწია. კოკაის პროფესიულ დოჰიოზე 767 ბრძოლა აქვს ჩატარებული, საიდანაც გამარჯვებით 396 დაასრულა. იოკოძუნას ძლევისთვის სპეციალური პრიზი — „ოქროს ვარსკვლავი" — ორჯერ აქვს მოპოვებული (ორჯერვე ასაშორიუ დაამარცხა) და ასევე ორჯერ აქვს მიღებული პრესტიჟული დამამშვიდებელი ჯილდო კანტო-შოც, რომელიც მებრძოლი ხასიათის გამოვლინებისთვის არის დაწესებული. ლევან ცაგურია 190 სანტიმეტრი სიმაღლის არის და 150 კილოგრამს იწონის.

გასულ წელს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.

კოკაისთან ინტერვიუ ერთ-ერთ სუმოს ვებგვერდზე და რუსულ გაზეთ „სპორტ-ექსპრესში" გამოქვეყნდა.

***— იქნებ თავდაპირველად ის მოგვიყვეთ, სუმოში როგორ მოხვდით?***

— აფხაზეთში დავიბადე და, მამაჩემის მსგავსად, თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში იქვე დავიწყე. მაშინ 12-13 წლის ვიყავი, თუმცა, ნახევარი წელიც არ იყო გასული, როდესაც ომი დაიწყო და ჩვენც, სხვათა მსგავსად, იძულებულნი გავხდით, მშობლიური სახლი დაგვეტოვებინა. თბილისში გადავედით, მაგრამ აქტიურ სპორტთან კავშირი არ გამიწყვეტია. მეგობარი მყავდა, რომელიც თავისუფალი ჭიდაობიდან სუმოში გადაბარგდა და მოყვარულთა შორის მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. მან სუმოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი ტანაკა გაიცნო. მათ საუბარიც ჰქონდათ. ტანაკა-სანმა ჰკითხა, საქართველოში პერსპექტიული ახალგაზრდა ბიჭები ხომ არ ეგულებოდა, რომელთაც იგი პროფესიონალებად ქცევაში დაეხმარებოდა. იმ დროისთვის სუმო ძალიან მიყვარდა და „ევროსპორტზე" რეპორტაჟებს რეგულარულად ვუყურებდი. ტანაკა-სანის წინადადებამ ძალიან დამაინტერესა, რადგანაც წონასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები მქონდა. არადა, სწორედ მაშინ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია სპორტსმენებისთვის ზედა ზღვრის (120 კილოგრამი) დაწესებას აპირებდა და მეც იაპონიაში გადაბარგების გადაწყვეტილება მივიღე.

***— თავისუფალ ჭიდაობაში რა მიღწევები გქონდათ?***

— ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოვიპოვე, თუმცა, ეს რომელ წელს იყო, ზუსტად აღარ მახსოვს.

***— იაპონიაში ჩასული პირდაპირ ოიტეკაძეს სკოლაში აღმოჩნდით?***

— დიახ. ოიკატა ოიტეკაძემ საკუთარ სკოლაში ბატონ ტანაკასთან შეთანხმების საფუძველზე მიმიღო.

***— მაშინ პროფესიულ სუმოში ევროპელები უკვე იყვნენ?***

— ჩემზე ერთი წლით ადრე რიკიშის (ეს წოდება დაბალ დივიზიონებში მოჭიდავე სუმოისტებს აქვთ) სტატუსი ბურიატელმა ანატოლი მიხახანოვმა მიიღო, იგი ავრორას მეტსახელითაა ცნობილი.

***— იაპონიაში რამდენი წელია ასპარეზობთ?***

— რაც ოიტეკაძეს „ოთახის" ზღურბლს გადავაბიჯე, თითქმის ათი წელი გავიდა, თუმცა, ის დღე გუშინდელივით მახსოვს. 2001 წლის 28 იანვარი გახლდათ. ეს თარიღი არასოდეს დამავიწყდება, რადგანაც მაშინ ჩემი ცხოვრება კარდინალურად შეიცვალა. როგორც აღვნიშნე, საქართველოში ჭიდაობით კარგა ხანს გახლდით დაკავებული და შეკრებაზე ხშირად მინახავს, როგორ ვარჯიშობდნენ ძიუდოისტები, რაგბისტები... მეგონა, პროფესიონალური სპორტის შესახებ ყველაფერი ვიცოდი, თუმცა, ოიტეკაძებეიაში მოხვედრის შემდეგ მყის მივხვდი, რომ პროფესიონალური სუმო სპორტზე მეტია. ვარჯიშის შემდეგ არ შეგიძლია, სახლში დაბრუნდე, გამოიძინო ან მეგობრებთან ერთად სადმე წახვიდე. შენი კლუბი შენი სახლიცაა. აქ ცხოვრობ, ვარჯიშობ, სადილობ, ვახშმობ და საკვებს მეგობრებსაც უმზადებ. აქ მკაფიო იერარქიაა და უფროს-უმცროსი ყველამ იცის. შენი სტატუსი რეიტინგში მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ეს ყველაფერი პირველივე დღიდან გავიგე. როგორც კი კლუბში მიმიღეს, დავინახე, სუმოისტები მწვრთნელს როგორი მოწიწებით ეპყრობოდნენ. მაშინ იაპონური საერთოდ არ მესმოდა და სიტყვასაც კი ვერ ვიგებდი, თუმცა, ინტონაციით, ჟესტებითა და მათი ქცევით ცხადი იყო, რომ რიკიშებისთვის ოიაკატა არა მხოლოდ მწვრთნელი, არამედ სულიერი დამრიგებელი, მეორე მამაც კი იყო. ჩემი მეგობრების გარეგნულმა სახემაც მომხიბლა. ყველა მათგანს ხალათი ეცვა და თმაც თავისებურად ჰქონდათ შეკრული. მხოლოდ ესეც კი მეყო იმის გასაგებად, რომ პროფესიონალური სუმო სულ სხვა სამყარო გახლდათ.

***— თქვენ თარჯიმანი გყავდათ მომაგრებული?***

— ცხადია, არა. ოიაკატა და მისი მეუღლე (ო-კამი-სანი) მალაზიაში წავიდნენ და სპეციალური სასაუბრო მიყიდეს. თავდაპირველად სპეციალური ტერმინებს ნამდვილად არ მასწავლიდნენ. საწყის ეტაპზე მისალმება, მოწიწებისა და თავმდაბლობის გამომხატველი სიტყვები უნდა მცოდნოდა, ასევე, უნდა გავრკვეულიყავი უფროსთან და უმცროსთან საუბარში. 3-4 თვის შემდეგ საკმაოდ დიდი პროგრესი იყო.

***— იაპონურ ენაზე პირველად რა ფრაზა წარმოთქვით?***

— ოჰაიო გოძაიმასუ, რაც დილა მშვიდობისას ნიშნავს. სუმოისტისთვის დღე როცა იწყება, მაშინ ალიონიც კი არ არის.

***— თქვენ 13 ტურნირი (ორ წელზე ცოტა მეტი) დაგჭირდათ, რათა მეორე ელიტურ დივიზიონ ძურიოში გადასულიყავით და სეკიტორის სტატუსის მქონე პირველი ევროპელი სუმოისტი გამხდარიყავით. ეს გზა რთული გახლდათ?***

— რთული იყო იმდენად, რამდენადაც ყველაფერში საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობა მიწევდა. ეს ახლაა, რომ სეკიტორთა შორის არაერთი ევროპელია. მე კი პირველი ვიყავი და ისიც არ ვიცოდი, უმაღლეს დივიზიონამდე რამხელა გზა იყო გასავლელი. პროფესიულ სუმოში 700-მდე მებრძოლია, არადა, ვერც ვერავის ვეკითხებოდი, რამდენი შერკინება უნდა მომეგო, რათა ერთი დივიზიონიდან მეორეში გადავსულიყავი. უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემამდე იაპონიაში ავრორა გადაბარგდა, მაგრამ მას არ შევხვედრივარ. მხოლოდ იმის უფლება მოგვცეს, რომ რამდენიმე წუთით ტელეფონით გვესაუბრა. მაგრამ მე იაპონიაში იმ იმედით გავემგზავრე, რომ ცხოვრებაში რამისთვის უნდა მიმეღწია. ახლა ვფიქრობ, რომ რაც მინდოდა, გავაკეთე კიდეც. ბრძოლისუნარიანობა და ბავშვობაში გადატანილი სიძნელეები ძალიან დამეხმარა. ცხადია, მხედველობაში ომი მაქვს. კიდევ იმის აღნიშვნა მინდა, რომ ამჟამად ჩემს ცხოვრებას სამ ეტაპად ვყოფ. 10 წელზე ცოტა მეტი აფხაზეთში გავატარე, შემდეგ თითქმის ამდენივე ხანს თბილისში ვიყავი, ასევე 10 წელია იაპონიაში ვცხოვრობ.

***— იაპონური ათი წელი მალე გავიდა? და თქვენი ცხოვრების ამ ეტაპიდან რამე ეპიზოდებს ხომ არ გამოყოფდით?***

— მართლა ძალიან ხშირად ვფიქრობ, რომ თითქოს გუშინ საღამოს ჩამოვედი იაპონიაში. თუმცა, როდესაც გასულ წლებს ვაანალიზებ, ვხვდები, რომ მთელი ახალგაზრდობა სუმოს მივუძღვენი. ნებისმიერი სპორტსმენი საკუთარ თავს გარკვეულ მიზანს უსახავს. ჩემთვის პირველი ამოცანა რანგით მე-5 დივიზიონ ჯონიდანში გამარჯვება გახლდათ. მაშინ მეგონა, რომ დიდ წარმატებას მივაღწიე. შემდეგ ყოველ ტურნირზე მიზანს ვართულებდი. ყველაზე მეტად მაშინ გამიხარდა, როდესაც ძურიოში გადავედი. მაკუუჩის საგზურსაც კი ისე არ გავუბედნიერებივარ, როგორც იმ გამარჯვებას. ამას მარტივი ახსნა აქვს. როდესაც სეკიტორის სტატუსს იღებ, შენი ცხოვრება კარდინალურად იცვლება, ამიტომაც ნებისმიერი სუმოისტი 70 უძლიერესს შორის მოხვედრაზე ოცნებობს. კარგად მახსოვს, უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში როგორ გადავინაცვლე. ძურიოში მე-2 რეიტინგი მქონდა, მაგრამ 15-დან 14 ბრძოლა მოვიგე და ყველას ვაჯობე. შემდეგი ეტაპი კომუსუბის ტიტულის მიღება იყო, რომელიც სუმოს იერარქიაში მე-4 საფეხურია.

***— იოკოძუნას ძლევის გამო, სპეციალური ჯილდო „ოქროს ვარსკვლავიც" მიგიღიათ. ეს არ იყო გამორჩეული მოვლენა?***

— „ოქროს ვარსკვლავი" მნიშვნელოვანი რამ გახლავთ, მაგრამ მას ეტაპს ვერ ვუწოდებ. ცხადია, ძალიან ვამაყობ, რომ დიდი იოკოძუნა ასაშორიუ ორჯერ დავამარცხე. მას პირველად ხუთი წლის წინ ნაგოიაში ვაჯობე. ეს დიდებული წუთები იყო.

***— როდესაც ასაშორიუს პირველი მარცხი აგემეთ, კომუსუბის ტიტულს არ ატარებდით, რიგით მაეგაშირას კი იოკოძუნას ძლევისთვის სპეციალური ბონუსი ეკუთვნის. თანაც, გამარჯვებულ სეკიტორს თანხას ყოველთვიურად მანამდე უხდიან, სანამ კარიერას არ დაასრულებს.***

— იმ მომენტში ბონუსზე ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდი და მხოლოდდამხოლოდ გამარჯვებით ვტკბებოდი. საერთოდაც, მატერიალური სტიმული ყველაზე მთავარ რამედ ნამდვილად არ მიმაჩნია.

***— დიდი გარდერობი გაქვთ?***

— დიახ. ყოველდღე შეხვედრაზე მიმავალი კიმონოს ვიცმევ, ხოლო თუ სიცივეა, დათბილულ მოსაცმელ ჰაორისაც ვიმატებ. გასახდელში თმას გვვარცხნიან და გინკგოს ფურცლის ფორმის სპეციალურ სამურაის სამაგრ ოიტეს გვიკეთებენ, რის შემდეგაც საბრძოლო მავაშიში ვეწყობით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შენი მავაში კარგად გქონდეს მორგებული. გახურების შემდეგ კიდევ ერთხელ ვიცვლით. საზეიმო ცერემონია დოჰიო-ირიზე სპეციალური კეშო-მავაშებით გავდივართ, ბრძოლისთვის კი ისევ ჩვეულებრივ მავაშის ვიცვამთ. შერკინების შემდეგ მას ვიხდით, შხაპს ვიღებთ და თმის დავარცხნის შემდეგ უფრო იოლ ვარცხნილობას — ტიონ-მაგეს ვიკეთებთ. ქუჩაში ისევ კიმონოთი გავდივართ, რომლის ქვეშაც ძიუბანს (ქვედა კიმონო) ვიცვამთ.

***— რამდენი კეშო-მავაში გაქვთ?***

— ოთხი. ეს საკმაოდ ბევრია. სადღესასწაულო ქამრებს მხოლოდ სეკიტორები ატარებენ. ტრადიციის თანახმად, კეშო-მავაშის კლუბის სპონსორები გვჩუქნიან. ცხადია, მათ დიზაინის არჩევაც შეუძლიათ. ძალიან მადლიერი ვარ, რომ ძურიოში გადასვლის შემდეგ მათ ჩემი თხოვნა გაითვალისწინეს. ჩემს პირველ კეშომავაშიზე საქართველოს დროშა და გერბია გამოსახული. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, იმიტომ რომ 15-დღიანი ტურნირებისას მთელი შეჯიბრი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და ჩემი ქვეყნის შესახებ მთელ იაპონიაში გაიგეს.

***— როგორ არჩევთ, ოთხი კეშომავაშიდან რომელი ჩაიცვათ? რამე ჩვეულება ხომ არ გაქვთ და მათ მარცხის შემდეგ ხომ არ ცვლით?***

— არა, მსგავსი არაფერი მახასიათებს. ჩვეულებრივ, თითო ბაშოზე 3 კეშო-მავაშის ვიყენებ, შესაბამისად, მათ ყოველი ხუთი შერკინების შემდეგ ვცვლი. კიუშიუს ტურნირზე იმ საზეიმო ფორმას ვიცვამ, რომელიც ფუკუოკელმა სპონსორებმა მაჩუქეს, ოსაკაში კი ამ პრეფექტურის მეცენატების მიერ გადმოცემულ სამოსში ვეწყობი.

***— თქვენი აზრით, ბოლო ათი წლის განმავლობაში სუმოს სამყარო თუ შეიცვალა?***

— როდესაც იაპონიაში ჩამოვედი, აქ პირველ როლებზე ჰავაელები აკებონო და მუსასიმარუ იყვნენ და ძლიერი მონღოლებიც მოდიოდნენ, თუმცა, პროფესიულ სუმოში უცხოელების ექსპანსია მაინც ახალი დაწყებული იყო. თანაც, ლეგიონერებისთვის ისეთი რთული ბარიერები არ იყო დაწესებული, როგორიც ახლაა. ამჟამად სკოლებში, სადაც უკვე არიან იაპონიის გარეთ დაბადებული სუმოისტები, ახალი უცხოელების მიღება არ ხდება. გულშემატკივრები რიკიშების ცხოვრების უნიკალურ წესებს შიგნიდან აკვირდებიან. ჩვენგან ძალიან ფასეული ინფორმაცია გადის. შედეგად, ევროპელები უკეთ ეცნობიან იაპონური ნაციონალური ჭიდაობის იდეასა და ფილოსოფიას, რომელიც არა მარტო სპორტი, არამედ მთელი რიტუალიცაა.

***— 10 წლის განმავლობაში ერთი ბრძოლაც კი არ გამოგიტოვებიათ, რაც უდიდესი მიღწევაა. ნუთუ თქვენთვის ტრავმები უცხოა?***

— ისეთი ტრავმები არ მქონია, რომ ჩემი დოჰიოზე გასვლა შეუძლებელი ყოფილიყო. ბალანსის მოძებნას ვახერხებდი და ტრავმებს გარკვეულწილად ვაკონტროლებდი კიდეც. თუმცა, ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობები უსაზღვრო ნამდვილად არ არის. გამიმართლა, რომ ამოვარდნები და მოტეხილობები არ მქონია. პირველი სერიოზული ტრავმა 5 წლის წინ მივიღე. ერთ-ერთ ტურნირზე კისრის მალები დავიზიანე. მაშინ ჩემი სტილი ბიძგებით ბრძოლას უკავშირდებოდა. ერთდროული საწყისი შეჯახებისას მე და ჩემი მოწინააღმდეგე ერთმანეთს თავებით შევასკდით, რის შემდეგ კისერსა და ხერხემალში ძლიერი ტკივილი ვიგრძენი. სურათებმა ფირფიტების გადაადგილება დააფიქსირეს. გამიმართლა, რომ კარგი მასაჟისტის მოძიება მოვახერხე და იგი უკვე ოთხი წელია, ჩემ გვერდითაა. არც კი ვიცი, მის გარეშე კარიერის გაგრძელებას მოვახერხებდი თუ არა, რადგანაც ყოველი სასტარტო შეჯახება დიდ დატვირთვას იწვევს. ალბათ, სწორედ კისრის მალების ბრალია, რომ ბოლო პერიოდში კარგ შედეგებს ველარ ვაჩვენებ. სტილი შევცვალე და მეტწილად ქამარზე ჭიდაობა დავიწყე. ისიც ცხადია, რომ ისეთ მძლავრ მიძალებას ველარ ვახორციელებ, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი.

***— ბრძოლაზე რომ გადიხართ, იდაყვები მაფიქსირებელი სახვევებით გაქვთ გამაგრებული. თუმცა, ისე გამოდის, რომ ხელები უფრო ნაკლებად გაწუხებთ, ვიდრე — კისერი.***

— ჩემი მთავარი საფიქრალი მართლაც მალებია, მაგრამ ბედს ნამდვილად ვერ დავემდურები. ვარჯიშებზე ისეთი ტრავმები მინახავს, მასთან შედარებით, ჩემი ტკივილი არაფერია. რაც არ უნდა ძლიერი ხასიათი ჰქონდეს მებრძოლს, ასეთი ტრავმის შემდეგ მისი ფსიქოლოგიური აღდგენა ძალიან რთულია. რაღაც დონეზე შიში მუდმივად ექნება ჩარჩენილი. ჩემთან დაკავშირებით ყველაფერი ასე ცუდად არ გახლავთ. ვფიქრობ, დოჰიოზე კიდევ საკმაო ხანს ვიდგები და შედეგებიც კარგი მექნება. უბრალოდ, საკუთარ თავზე მუშაობაა საჭირო. თუკი წინააღმდეგობა შეგვხვდა, ის უნდა გადალახო. მე ბალანსს ვპოულობ, რომელიც მაკუუჩიში ასპარეზობისა და იმის საშუალებას მაძლევს, რომ ტრავმა არ გავირთულო. მინდა, ყველას, ვინც სუმოთი გახლავთ დაინტერესებული, ვუთხრა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სპორტია. ჩვენთან ნებისმიერი შერკინება შესაძლოა ტრავმით ან, ღმერთმა არ ქნას, სიკვდილითაც კი დასრულდეს, თანაც, ეს არა მარტო ტურნირზე, არამედ ვარჯიშებზეც ხდება. წარმოიდგინეთ, ერთი შემხვედრი დარტყმა — ეს ერთი ტონაა, არადა, სასტარტო შეტევისას რიკიშები ხშირად ერთმანეთს შუბლებით ასკდებიან. თუკი იმ კითხვას დავუბრუნდებით, ტურნირიდან რატომ არასოდეს მოვხსნილვარ, გეტყვით, რომ ბრძოლის გამოტოვება მარცხის ტოლფასია. ასე რომ, ის, ვინც საშეჯიბრო 15 დღეს „ისვენებს", რეიტინგში საგრძნობლად ქვეითდება, ბაშოებს შორის იმხელა პაუზა კი ნამდვილად არ გახლავთ, რომ ტრავმა ბოლომდე მოიშუშო.

***— განვლილ წლებში თქვენ სუმოს სხვადასხვა სტილს მისდევდით. ჯერ აქცენტს ბიძგებზე აკეთებდით, შემდეგ ქამარში ჭიდაობაზე გადახვედით. წონაშიც დიდი 15-20 კილოგრამიანი სხვაობები გქონდათ ხოლმე. საკუთარი სუმოს ძიებაში იყავით?***

— დიახ. თუკი სხვადასხვა პერიოდში ჩემს წონებში სხვაობას დააკვირდებით, ჩემი აზრების მიმართულებასაც გაიგებთ. როდესაც ტრავმა მივიღე, ისე ბრძოლა აღარ შემეძლო, როგორც მე მსურდა. წონის ისეთ დონემდე „დაგდება" მომიხდა, რომ ხერხემალზე ნაკლები დაწოლა მქონოდა და კისერი და ზურგი არ გადამეტვირთა. ცხადია, როდესაც ნაკლებ წონაზე გავედი, ბრძოლის სტილიც სხვა გახდა. ჩემი პრობლემების დანახვა იოლია. შეიძლება, ხელი ან ფეხი გადაიხვიო, მაგრამ კისერს ვერაფრით შეიხვევ. ყველაფრის მიუხედავად, ბალანსის შენარჩუნებას მუდმივად ვცდილობ. ჯერაც საკუთარი სუმოს ძიებაში ვარ, რომელიც ჩემი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას მომცემს. ჩემი საქმე ძალიან მიყვარს და მინდა, არა მხოლოდ ვიბრძოლო, არამედ, კარგად ვიბრძოლო. სხვა საქმეა, რომ ტრავმები ამის საშუალებას ყოველთვის არ მაძლევს.

***— საქართველოში სუმო რამდენად პოპულარულია?***

— ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: ზაფხულში სამშობლოში ვიყავი და საქართველოს პრეზიდენტმა ბრწყინვალების ორდენი გადმომცა. ეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ჯილდოა. ძალიან მიხარია, რომ პირველი სპორტსმენი გავხდი, რომელსაც ეს პატივი ერგო. ეს იმ ფონზე, როდესაც ჩვენ არაერთი უდიდესი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ლევან ცაგურია: არაფერს ვნანობ!

დასაწყისი მე-10 გვერდზე

მოჭიდავე გვყავს, მათ შორის, ოლიმპიური ჩემპიონები. არადა, ათიოდე წლის წინ საქართველოში სუმოს შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩემს ხალხსა და პრეზიდენტს, რომელთაც ჩემს მოღვაწეობას ესოდენ მაღალი შეფასება მისცეს. ბედნიერი ვარ, რომ იმ დროის განმავლობაში, რაც პროფესიონალურ სუმოში გამოვდივარ, იაპონიაში დიდმა თუ პატარამ საქართველოს არსებობის შესახებ შეიტყო. ალბათ, ეს ჩვენმა პრეზიდენტმაც შეიტყო და 3 წლის წინ ოსაკაშიც კი იმყოფებოდა ჩემს საქომაგოდ. სწორედ იმ დღეს დაბადების დღე მქონდა და მან ქართული ეროვნული ხანჯალი მაჩუქა.



— ***ამჟამად უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში მოასპარეზე ქართველები, ტოჩინოშინი და გაგამარუ, იაპონიაში თქვენი დახმარებით მოხვდნენ?***

— ორივე მათგანს ტანაკასანი დაეხმარა, თუმცა, ჩემგან განსხვავებით, თავიანთ სკოლებში მოხვედრამდე მათ სტაჟირება უნივერსიტეტ ნიჰონის სუმოს კლუბში გაიარეს. გაგამარუს, იმავე თეიმურაზ ჯუღელს, ბავშვობიდან ვიცნობ. თბილისში მეზობლად ვცხოვრობდით, ჩვენს სახლებს შორის ხუთი წუთის სავალია. თემური ჩემზე უმცროსია. იგი ჩემს ძმასთან მეგობრობდა და ძიუდოთი გახლდათ დაკავებული. ტოჩინოშინი ანუ ლევან გორგაძე იაპონიაში გავიცანი. ორივე მათგანი 23 წლისაა.გაგამარუ მაკუუჩიში მხოლოდ ამ ზაფხულს აღზევდა. ბოლო პერიოდში მან ძალიან მოუმატა, ჭიდაობისას საკუთარ თავს უკეთ აკონტროლებს, ადრე კი უფრო შებოჭილი გახლდათ. მას კარგი მიძალებითი სტილი ჩამოუყალიბდა. თავად ძალიან დიდია, ჯანმრთელი და მაკუუჩიში ყველაზე მეტს — ორას კილოგრამამდე იწონის. მთავარია, რომ თემურს საკუთარი სხეულის ბალანსის შენარჩუნება შეუძლია. ცხადია, მას სასწავლი კიდევ ბევრი რამ აქვს და მუშაობა მოუწევს. გაგამარუს კარგი პერსპექტივა გააჩნია და მიღწეულზე არ უნდა გაჩერდეს. ტოჩინოშინიმ კომუსუბის რანგში უკვე ორი ბაშო ჩაატარა და საკუთარი მაქსიმუმისთვის მასაც არ მიუღწევია. სამწუხაროდ, მიმდინარე წლის დასაწყისში ლევანმა მარჯვენა ხელზე კუნთი გაიწყვიტა. როდესაც ტრავმას საბოლოოდ მოიშუშებს, მაღლა სვლას აუცილებლად განაგრძობს.

— ***თქვენი უმცროსი ძმა რით გახლავთ დაკავებული? პროფესიულ სუმოში თავის დამკვიდრება რატომ ვერ მოახერხა?***

— გიორგი საქართველოში დედასთან ერთად ცხოვრობს. იგი ვარჯიშობს და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობს. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ძმა პროფესიონალურად არის დაკავებული სამოყვარულო სუმოთი. იაპონიაში გიორგიმ რანგით მე-4 დივიზიონ სანდანმეს უწია, თუმცა, შემდეგ ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ, რომ შინ უნდა დაბრუნებულიყო. ჯერ ერთი, მან ძალიან არასასიამოვნო ტრავმა მიიღო — ფეხის დიდ და საჩვენებელ თითებს შორის მდებარე აპკი გაიწყვიტა. მეორეც, ოჯახში დიდი უბედურება შეგვემთხვა. მამა გარდაგვეცვალა და დედის გამხნევება აუცილებელი იყო.

— ***სუმოსგან თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

— ასეთი დრო ძალიან ცოტა მაქვს, რადგანაც ტურნირებს შორის საჩვენებელი შეჯიბრებები და სხვა ოფიციალური ღონისძიებები ეწყობა. თუკი თავისუფალი საათები რჩება, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად აღდგენას ვცდილობ. ამაში ძალიან მეხმარება მთებში არსებული ცხელი წყაროები — ონსენები.

— ***ისინი საქართველოს ხომ არ გახსენებენ?***

— დიახ. როდესაც სამშობლოში ჭიდაობით ვიყავი დაკავებული, ვარჯიშის შემდეგ გოგირდის წყლებში მივდიოდით. ეს ჩვენებური აბანოებია. მიწიდან ორგანიზმისთვის ძალიან სასარგებლო ცხელი წყალი ამოდის და განტვირთვაში ძალიან გეხმარება.

— ***სამშობლოში ჩასვლას რა პერიოდულობით ახერხებთ?***

— საუკეთესო შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ ჩავდივარ, ისიც, მაქსიმუმ ათი დღით.

— ***თქვენთვის ყველაზე დიდი სიხარული რაშია?***

— როდესაც სამშობლოში შენ შესახებ ყოველმა მეორემ იცის და გგულშემატკივრობს. ვფიქრობ, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. მინდა, შესაძლებლობით ვისარგებლო და ადამიანებს, რომლებიც საქართველოში თუ სხვა ქვეყნებში მქომაგობენ, დიდი მადლობა ვუთხრა.

— ***პროფესიონალურ სუმოში დარჩენას კიდევ რამდენ ხანს აპირებთ?***

— ყოველი სპორტსმენის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც იგი საკუთარ მომავალზე ფიქრდება. სუმოთი მანამდე ვიქნები დაკავებული, სანამ აღნიშნულის საშუალებას ჩემი ორგანიზმი მომცემს. თუკი ტრავმები ხელს არ შემიშლის, ორი ან მეტი წელი დოჰიოზე ვიქნები. მერე რა იქნება, ჯერ არ მიფიქრია.

— ***იაპონიაში დარჩენას და მწვრთნელ-მასწავლებლად მუშაობას არ გეგმავთ?***

— ჯერჯერობით ასეთი სურვილი არ მაქვს.

— ***არ გიფიქრიათ იმაზე, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას წონაში შეზღუდვები რომ არ შემოეღო, თქვენი ცხოვრება შესაძლოა სულ სხვა მიმართულებით წასულიყო?***

— მიფიქრია. მამას ყოველთვის უნდოდა, რომ თავისუფალ ჭიდაობას გავყოლოდი. იგი ჩემს იაპონიაში წასვლასაც კი ეწინააღმდეგებოდა, რადგანაც ჩემი ოლიმპიურ თამაშებზე წასვლა სურდა. დიახ, ჩემი ცხოვრება შესაძლოა სხვაგვარად წარმართულიყო.

— ***თქვენს ნაკვალევზე უამრავი ევროპელი წამოვიდა.***

— დიახ და ძალიან მიხარია, რომ კოტოოშუმ და ბარუტომ ჩემი მიღწევები გაამჯობესეს და მე-2 იერარქიულ საფეხურს — ოძეკობას მიაღწიეს. ეს ძალიან დიდი წარმატებაა. იმედი მაქვს და მჯერა კიდეც, რომ მათ თავიანთი მაქსიმუმისთვის არ მიუღწევიათ.

— ***სუმოისტებიდან ვისთან მეგობრობთ?***

— გაგამარუსთან, ტოჩინოშინისთან, არანთან. საერთოდაც, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ესტონელ ბარუტოსთან, ბულგარელ კოტოოშუსთან, კორეელ კასუგაოსთან ვმეგობრობ.

— ***ჰაკუჰოზე რას იტყვით?***

— იგი ნამდვილი ფენომენია. ძალიან მიხარია, რომ ასეთი დიდი სპორტსმენისა და ადამიანის გვერდით ვასპარეზობ.

— ***გულშემატკივრების გარკვეული ნაწილი მას მოსაწყენ სუმოისტად მიიჩნევს.***

— კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ სუმო მხოლოდ სპორტი არ არის. შეიძლება, ვინმეს მოსაწყენად ეჩვენება, როდესაც იგი დამარცხებულ მეტოქეს ხელს უწვდის, ემოციებს იკავებს და ყოველთვის აუღელვებლად გამოიყურება. თუმცა, ნამდვილი იოკოძუნა სწორედ ასე უნდა იქცეოდეს. ჰაკუჰო არა მხოლოდ ჩინებულად ჭიდაობს, არამედ სუმოს წესებს კარგად გრძნობს. იგი მოწინააღმდეგეებს ძალიან აფასებს.

— ***პროფესიონალ სუმოისტს ყველაზე მეტად რა აკლია — პირადი ცხოვრებისთვის განკუთვნილი დრო?***

— სხვადასხვა ღონისძიებების ძალიან მჭიდრო გრაფიკი გვაქვს. ცხადია, გულშემატკივრებთან შეხვედრა ძალიან სასიამოვნოა და გვესმის, რომ მათთვის დიდი სიხარულის მინიჭება შეგვიძლია. სხვათა შორის, იაპონიაში სჯერათ, რომ თუკი რიკიშის შეეხები, ჯანმრთელად იქნები და დიდხანს იცოცხლებ. სამწუხაროდ, პირადი ცხოვრებისთვის მართლაც ძალიან ცოტა დრო გვრჩება.

— ***და მაინც, 10 წლის წინანდელ პერიოდს რომ დავუბრუნდეთ, ერთი სიტყვით გვითხარით, კარგი ქნეს, ჭიდაობაში წონითი შეზღუდვები რომ შემოიღეს?***

— დიახ და, დღევანდელი გადასახედიდან, არაფერს ვნანობ.

# რონალდინიო ბრაზილიაში ბრუნდება

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა რონალდინიომ „მილანის" სავარჯიშო ბანაკი დუბაიში, სადაც გუნდი ზამთარში ემზადება, დატოვა და სამშობლოში გაემგზავრა, რათა მოლაპარაკებები წამოიწყოს „გრემიოსთან". პორტუ ალეგრიში რონი აგენტთან და „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისთან ერთად ჩავიდა.

— პორტუ ალეგრიში იმიტომ ჩამოვედით, რომ „გრემიოსთან" მოლაპარაკებები ვაწარმოოთ, თუმცა, ჯერ გადაწყვეტილი არაფერი არ არის. თუ ბრაზილიურ კლუბთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, რონალდინიო „მილანში" დაბრუნდება, რადგან ჯერ ამ კლუბის ფეხბურთელად ითვლება, — განაცხადა ფეხბურთელის ძმამ და აგენტმა ბრაზილიურ მედიასთან საუბარში.

სამშობლოში ბრუნდება ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემიც. როგორც „ტოტენჰემ ჰოტსპურის" მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი აცხადებს, ფეხბურთელმა უკვე მისცა თანხმობა, მის გუნდში ითამაშოს.

— ბექჰემმა გვითხრა, რომ „ტოტენჰემში" თამაში უნდა. ახლა საჭიროა, სწრაფად ვიმოქმედოთ, რის შესახებაც ხელმძღვანელობას უკვე მოვახსენე. უახლოეს მომავალში დავიწყებთ მოლაპარაკებას ამერიკულ კლუბთან. სანამ დევიდ ბენტლი დამტვრეულია, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე გვიჭირს, — აცხადებს რედნაპი, რომელსაც ფეხბურთელის ასაკი არ აშინებს და კიდევ ერთ მსგავს ტრანსფერს ახსენებს გულშემატკივარს.

— როდესაც „პორთსმუთის" მწვრთნელი ვიყავი და ტედი შერინგემი მივიწვიე, ყველას ვუთითებდი მის ვარჯიშებსა და შრომისმოყვარეობაზე. ის 100 პროცენტით იხარჯებოდა ვარჯიშებზე და თამაშებზე. იმედი მაქვს, ბექჰემიც ასე იქნება. მე მითხრეს, რომ დევიდი ვარჯიშის შედეგ კიდევ ერთი საათი რჩება მოედანზე, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის კი ეს საინტერესო სანახავი იქნება, — დასძინა რედნაპმა. თუ ბექჰემი ინგლისში ბრუნდება, შესაძლოა, ნისლიანი ალბიონი ლონდონის „არსენალის" რუსმა ფეხბურთელმა ანდრეი არშავინმა დატოვოს.

ტურინის „იუვენტუსი" მზად არის, ლონდონურ კლუბს ფეხბურთელის სანაცვლოდ 18 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს.

ტურინული კლუბის მწვრთნელ ლუიჯი დელ ნერის გუნდის გაძლიერება აქვს გადაწყვეტილი და სატრანსფერო სიაში არშავინი პირველ ადგილზე ფიგურირებს.

# ქართულ კალათბურთში ტრანსფერის დრო დადგა

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის პირველმა წრემ ყველა გუნდს კარგად დაანახვა, რომ შემადგენლობის როტაციაზე უნდა დაფიქრდნენ. 6 მოგებას ძალოვნებმა 3 მარცხი მიაყოლეს და ცხრილში პოზიციები შესამჩნევად დათმეს. შესაბამისად, ის აზრი, რომ მაღალი მიზნის მისაღწევად შემადგენლობის გაძლიერება იყო საჭირო, გუნდის ხელმძღვანელებს უფრო გაუმძაფრდათ. შსს-მ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის თანაშემწე, სუპერლიგის მოქმედ მწვრთნელთა შორის ყველაზე ტიტულიანი სპეციალისტი, ბოლო 2 სეზონში „ბათუმში" მომუშავე დავით უსტიაშვილი გადაიყვანა. ძალოვნები ამ სერიოზულ ტრანსფერზე არ შეჩერებულან და მიმდინარე სუპერლიგის კიდევ 2 ძლიერი მოთამაშე შეიმატეს — ბექა წივწივაძე და ჟოლივეტ ტუჯანი.

ეს მოთამაშეები თავიანთ პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესონი არიან სუპერლიგაში და სწორედ ამ ტანდემის დიდი დამსახურებაა, რუსთავის „ენერჯი-ინვესტმა" პირველი წრე მეორე ადგილზე რომ დაასრულა. შსს-ს სწორედ ამ პოზიციებზე სჭირდებოდა გაძლიერება. კარგი გამთამაშებელი და მეფარე ძალოვანთა გუნდს ძალიან დააბალანსებს. მეორე მხრივ, ამ ტრანსფერით რუსთავული გუნდი სუსტდება და სუპერლიგას, სავარაუდოდ, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი გამოაკლდება. მეტიც, ქვემოქართლელებს, რომლებიც ბოლო წლებში უცვლელი ჩემპიონები იყვნენ, ახლა მედლის მოპოვებაც სათუო ექნებათ.

თუკი შსს-ს — პოზიცია ჰქონდა გასაძლიერებელი, პირველი წრის გამარჯვებულ „არმიას" მხოლოდ უკანა ხაზის შევსება მართებდა, რაც მოახერხა კიდეც. არმიელებს ჰყავთ საქართველოს ნაკრების წევრი, კოტე ტუღუში, რომელიც კარგი გამთამაშებელია, გუნდშია ახალგაზრდა გივი ბაქრაძეც, თუმცა, ლევან მოსეშვილის აზრით, ეს 2 კალათბურთელი საკმარისი არ იყო. ტუღუში უფრო მრავალმხრივი მოთამაშეა და მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია მსროლელის პოზიციიდან, თუ, რა თქმა უნდა, საიმედო გამთამაშებელი გაუმაგრებს ზურგს. არმიელებმა ზუსტად ისეთი მოთამაშე შეიმატეს, როგორიც სჭირდებოდათ — „ქუთაისის" გამოცდილი უკანახაზელი ბუბა ბერიშვილი. ეს კალათბურთელი „ქუთაისში", რომ იტყვიან, ბრწყინავდა, გონივრულად ათამაშებდა ბურთს და კარგად თამაშობდა დაცვსა თუ შეტევაში. ქუთაისელებმა მატჩების უმეტესობა სწორედ ბუბას წყალობით მოიგეს. მისი გამოცდილება და მახვილგონიერება „არმიის" უკანა ხაზს ერთიორად გააძლიერებს.

სამაგიეროდ, ახლა უკვე რიონისპირელებს მოუწევთ სასწრაფოდ მისი შემცვლელის პოვნა.

არმიელებს თუკი უკანა ხაზში აკლდათ ხალხი, საპირისპიროდ, ტანმაღალი მოთამაშეების სიჭარბეს განიცდიდნენ. შესაბამისად, არმიელები შეელივნენ მიხეილ ბერიშვილს.

სოხუმელთა ერთ-ერთი ამერიკელი, მაიკ მაქქერი, რომელსაც ბოლო ტურში არ უთამაშია, კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით სამშობლოში, საახალწლო არდადეგებზე გაემგზავრა და დაისვენა, ხოლო პეტრას ბალოჩკა საფრანგეთში გადავიდა.

რაც შეეხება „ბათუმში" გამოთავისუფლებულ მთავარი მწვრთნელის პოსტს, მას, სავარაუდოდ, ადგილობრივი კადრებით შეავსებენ. როგორც თავად ბათუმიდან წამოსულმა დავით უსტიაშვილმა განაცხადა, გუნდს, სავარაუდოდ, მისი ერთ-ერთი ასისტენტი ჩაიბარებს — გარი არინინი ან ლაშა ოჩხიკიძე.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 1:2 |
| ვესტ ჰემი-ვულვზი | 2:0 |
| ლივერპული-ბოლტონი | 2:1 |
| სიტი-ბლექპული | 1:0 |
| სანდერლენდი-ბლექბერნი | 3:0 |
| სტოკი-ევერტონი | 2:0 |
| ტოტენჰემი-ფულემი | 1:0 |
| ბირმინგემი-არსენალი | 0:3 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 19 | 11 | 8 | 0 | 41-18 | 41 |
| 2.სიტი | 21 | 12 | 5 | 4 | 33-16 | 41 |
| 3.არსენალი | 20 | 12 | 3 | 5 | 42-22 | 39 |
| 4.ტოტენჰემი | 20 | 10 | 6 | 4 | 30-23 | 36 |
| 5.ჩელსი | 19 | 10 | 4 | 5 | 33-15 | 34 |
| 6.სანდერლენ. | 21 | 7 | 9 | 5 | 24-22 | 30 |
| 7.ბოლტონი | 21 | 7 | 8 | 6 | 33-28 | 29 |
| 8.სტოკი | 20 | 8 | 3 | 9 | 25-24 | 27 |
| 9.ლივერპ. | 19 | 7 | 4 | 8 | 23-24 | 25 |
| 10.ბლექპული | 18 | 7 | 4 | 7 | 26-30 | 25 |
| 11.ბლექბერნი | 21 | 7 | 4 | 10 | 26-34 | 25 |
| 12.ევერტონი | 20 | 4 | 10 | 6 | 21-24 | 22 |
| 13.ნიუკასლი | 19 | 6 | 4 | 9 | 28-31 | 22 |
| 14.ვ.ბრომვიჩი | 20 | 6 | 4 | 10 | 26-36 | 22 |
| 15.ვესტჰემი | 21 | 4 | 8 | 9 | 22-33 | 20 |
| 16.ა. ვილა | 19 | 5 | 5 | 9 | 20-34 | 20 |
| 17.უიგანი | 19 | 4 | 8 | 7 | 17-31 | 20 |
| 18.ბირმინგ. | 19 | 3 | 10 | 6 | 18-24 | 19 |
| 19.ფულემი | 20 | 3 | 10 | 7 | 19-24 | 19 |
| 20.ვულვზი | 20 | 5 | 3 | 12 | 20-35 | 18 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ლიდსი-მიდლსბრო | 1:1 |
| მილუოლი-კრ.პალასი | 3:0 |
| ბარნლი-შეფილდი | 4:2 |
| ბრისტოლი-კარდიფი | 3:0 |
| ქოვენთრი-იფსვიჩი | 1:1 |
| ნორვიჩი-ქპრ | 1:0 |
| ნოტინგემი-ბარნსლი | 2:2 |
| პრესტონი-დერბი | 1:2 |
| სუონსი-ლესტერი | 0:1 |
| დონკასტერი-სკანთორპი | 3:0 |
| უოტფორდი-პორთსმუთი | 3:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ჰართსი-ჰიბერნიანი | 1:0 |
| აბერდინი-დანდი | 1:1 |
| ჰამილტონი-მოზერველი | 0:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 18 | 13 | 3 | 2 | 39:13 | 42 |
| 2.რეინჯერსი | 16 | 13 | 2 | 1 | 39:17 | 41 |
| 3.ჰართსი | 19 | 12 | 3 | 4 | 33:15 | 39 |
| 4.კილმანროკი | 18 | 8 | 3 | 7 | 30:21 | 27 |
| 5.ინვერნესი | 19 | 7 | 6 | 6 | 30:25 | 27 |
| 6.მოზერველი | 18 | 7 | 3 | 8 | 24:23 | 24 |
| 7.დანდი | 15 | 5 | 6 | 5 | 18:23 | 21 |
| 8.სტ.ჯონსონი | 17 | 5 | 3 | 9 | 12:25 | 18 |
| 9.აბერდინი | 19 | 5 | 2 | 12 | 19:38 | 17 |
| 10.ჰიბერნიანი | 19 | 4 | 4 | 11 | 21:32 | 16 |
| 11.სტ.მირენი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:31 | 16 |
| 12.ჰამილტონი | 17 | 2 | 5 | 10 | 11:30 | 11 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ნიუ ორლეანი | 81:92 |
| ჩიკაგო-კლივლენდი | 100:91 |
| მაიამი-გოლდენ სტეიტი | 114:107 |
| მინესოტა-ნიუ ჯერსი | 103:88 |
| სან ანტონიო-ოკლაჰომა | 101:74 |
| დენვერი-საკრამენტო | 104:86 |
| მილუოკი-დალასი | 99:87 |
| იუტა-მემფისი | 98:92 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-ბოსტონი | 6:6(1:0ბ) |
| კაროლინა-ნიუ ჯერსი | 6:3 |
| ოტავა-ტორონტო | 1:5 |
| ტამპა ბეი-რეინჯერსი | 2:1(ოტ) |
| პიტსბურგი-ვაშინგტონი | 1:3 |
| ლოს ანჯელესი-სან ხოსე | 0:1 |
| ედმონტონი-კალგარი | 1:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 3 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,781
ევრო —2,4644
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0583

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 7-11, ღამით — 9-3,
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 14-1§, ღამით — §-11
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -1-§, ღამით — -15-9

**ამინდის პროგნოზი 3 იანვრისთვის**







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


# ჯეოსტარის გამარჯვებულმა ოთო ნემსაძემ 25.000 ლარი და „ჰიუნდაი" მიიღო

ეკა ირემაშვილი

**ჯეოსტარის სამთვიანი მარათონი და მუსიკალური პროექტი თავისი სკანდალებითა და მოულოდნელობებით დასრულდა. 31 დეკემბრის ღამით მეშვიდე ჯეოსტარელი დასახელდა.**

ჯეოსტარი 2010-ის ფინალში ერთამენთს თბილისის წარმომადგენელი სოფო გელოვანი და ქართლის წარმომადგენელი ოთო ნემსაძე დაუპირისპირდნენ. დასკვნით კონცერტზე 60.000 ხმა შევიდა, აქედან 66 პროცენტის მფლობელი და შესაბამისად, გამარჯვებულიც ქართლის წარმომადგენელი ოთო ნემსაძე გახდა.

დასკვნით გალაკონცერტზე ფინალისტებს ძველი ჯეოსტარელები — ნოდიკო ტატიშვილი, სოფო ბედია, სალომე ბაკურაძე, გიორგი სუხიტაშვილი, დათუნა მგელაძე და წლევანდელი ჯეოსტარელი ზურა მოსიავა ეხმარებოდნენ.

მეორე ადგილზე გასულმა სოფო გელოვანმა სხვადასხვა კომპანიებისგან ფასიანი საჩუქრები მიიღო. რადიო „ფორტუნამ" იგი თავის რჩეულად დაასახელა და სოფოს მისცა შანსი, „ფორტუნას" ხმის ჩამწერ სტუდიაში სიმღერა ჩაწეროს.

რაც შეეხება გამარჯვებულს, მას პრიზთან ერთად „ჯეოსელმა" 25.000 ლარი გადასცა, რომელიც მთლიანად ოთო ნემსაძის ალბომის ჩაწერას მოხმარდება. გამარჯვებულის



ალბომი ახალი ტექნოლოგიებით და ინოვაციებით იქნება ჩაწერილი.

ნემსაძემ სხვა პრიზიც მიიღო — გეგა ფალავანდიშვილმა მას პირდაპირ სცენაზე გადასცა ახალთახალი მანქანის, ჰიუნდაის, გასაღები. დიდი საკონცერტო დარბაზიდან გამოსულ გამარჯვებულს გარეთ თაყვანისმცემელთა არმია ელოდებოდა. მან გულითადი მილოცვებიც მიიღო და ავტოგრაფებიც მრავლად დაარიგა. იმავე საღამოს ოთო ნემსაძე მშობლიურ გორში ჩავიდა და ახალი წლის შესახვედრად ქუჩაში გამოსული ხალხისთვისაც იმღერა.

# მაია დობორჯგინიძე რეჟისორი გახდა

ეკა ირემაშვილი

თავისუფალ თეატრში ორი კვირის განმავლობაში მაყურებელი სამ პრემიერას ნახავს. ორი კვირის განმავლობაში ძირითადად საბავშვო სპექტაკლები და მიუზიკლები იქნება წარმოდგენილი.

მსახიობმა მაია დობორჯგინიძემ, რომელიც საზოგადოებისთვის სერიალ „შუა ქალაქში" მარიკას როლის შესრულებით არის ცნობილი, რეჟისორობა დაიწყო. თავისუფალ თეატრში მან სპექტაკლი „თაფლობის თვე" დადგა. სპექტაკლზე ახალბედა რეჟისორი ორი თვის განმავლობაში მუშაობდა და მასში მხოლოდ სამი მსახიობი ქალი დააკავა — სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი და მარიამ ჯოლოგუა.

ახალი სპექტაკლის პიესის ავტორი ავსტრიელი დრამატურგი გაბრიელ ბარილია. სპექტაკლში სამი ქალის სევდანარევი მხიარული ისტორიაა წარმოდგენილი. ისტორია ბანალურია, მაგრამ სწორედ ამაშია რეალური ფაქტები. ყველა ქალს თუ არ გადახდენია, სხვების-



გან მაინც სმენია მსგავსი ისტორიები — ასეთია დებიუტანტი რეჟისორის მოტივაცია სპექტაკლის დადგმასთან დაკავშირებით.

საახალწლო განწყობის შესანარჩუნებლად თავისუფალი თეატრი ორი კვირის განმავლობაში ბავშვებისთვის და არა მარტო მათთვის, მიუზიკლებსა და საბავშვო სპექტაკლებს ითამაშებს. 3 იანვარს რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა წარმოადგენს მიუზიკლ „ბრემენელი მუსიკოსების" პრემიერას. მასში თავისუფალი თეატრის მსახიობები არიან დაკავებული. ერთ-ერთი პერსონაჟის, კატის, როლს, ყველასთვის კარგად ნაცნობი მსახიობი ნინო მუმლაძე (იგივე ნუნუკა „ჩვენი ოფისიდან") ასრულებს.

მიუზიკლის საპრემიერო ჩვენებები 4, 5, 11, 12 და 13 იანვარსაც გაიმართება. 8-10 იანვარს კი თავისუფალი თეატრი „პეპი გრძელი წინდას" ითამაშებს. საბავშვო სპექტაკლების ხაზი 16 იანვარსაც გაგრძელდება. პატარა მაყურებლები ნახავენ ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლს „ღმერთო დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები".

14 და 15 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი მაყურებელს პრემიერას

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ

## ასტროპროგნოზი 3 იანვრისთვის

**ვერძი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც გამოგდით. **ლომი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **სასწორი** — გზიდან კარგ ამბავს გაიგებთ. **ღრიანკალი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, უფროსობა გწყალობთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც მოაქვს. **თხის რქა** — საღამო მშვენიერი იქნება. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი



— თუ გინდა, რომ სიტყვა და საქმე ერთი იყოს, ხმა არ უნდა ამოიღო და არაფერი აკეთო...

***

ექიმი პაციენტს:
— თქვენი კარგი ნაცნობებიდან ვინმე ხომ არ გარდაცვლილა?
— დიახ.
— მაშინ, შემიძლია გახაროთ, რომ მალე სასიამოვნო შეხვედრა გელით.

***

— წერილი, რომელშიც მთხოვდი, ფული მასესხეო, არ მიმიღია...

***

— აი, შენი ქმარი შორეული ნაოსნობის მეზღვაურია, წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი კვირას ხედავ სახლში? როგორ იტან?
— ერთ კვირას როგორმე ავიტან...

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ქიმიური ელემენტი; 3. ტუჩის საცხი; 8. სახელმწიფო აფრიკაში; 10. ნაყოფიერების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 11. ... ხაფავა (მსახიობი); 12. ურჩხული; 14. მთა გურიაში; 15. ხელოვნური ბოჭკო; 16. მღვდელი საფრანგეთში; 19. დიონისეს მხლებელი, ავხორცი არსება; 20. ძველებური მუსიკალური საკრავი (სპილენძის თეფშები); 21. ძრავა.

**შვეულად:** 1. მრავალფეროვანი ბუმბულით შემოსილი მოზრდილი ფრინველი; 2. სოფელი ხულოს რაიონში; 3. მაყურებელთა ადგილი თეატრში; 4. ღვინის დანალექი; 5. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 6. ვარდობის თვე; 7. კუნთების ანთება; 9. პატარა სამხედრო გემი; 13. საზეიმო ნამცხვარი; 17. სიმინდის ყვავილედი; 18. ინდოელი კინორეჟისორი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




# „სოკარი" ფეხბურთში ერთი წლით, სტადიონითა და ბაზით მივიდა

**როგორც უკვე ვწერდით, ნავთობკომპანია „სოკარი" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სპონსორი გახდა. ხელშეკრულებას „სოკარის" მიერ ორგანიზებულ საზეიმო ღონისძიებაზე მოეწერა ხელი.**

რაც შეეხება დეტალებს, კონტრაქტი ერთწლიანია, მაგრამ მხარეები შემდგომი გაგრძელების პერსპექტივითაც არიან დაინტერესებული.

— მოხარული ვართ, რომ „სოკარი" ჩვენი გენერალური სპონსორი გახდა. ფულზე არ არის საუბარი — ხელშეკრულების თანახმად, „სოკარი" მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ძირითად და სათადარიგო მოედნებს ევროპული სტანდარტების დონეზე კეთილმოაწყობს და ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასას" მშენებლობას ბოლომდე მიიყვანს, — აცხადებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსპიკერი ლაშა დვალიშვილი.

როგორც ჩანს, „სოკარმაც" და ფედერაციამაც ნაღდი ფულით ურთიერთობას სხვაგვარი ხელშეკრულება ამჯობინეს — მინდვრების კეთილმოწყობა, რაც, თავისთავად, თანხებთანაა დაკავშირებული.

იმედს ვიტოვებთ, რომ ფედერაციისა და „სოკარის" თანამშრომლობა 2012 წელსაც გაგრძელდება და სპონსორი საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც გამოუჩნდება.

მ. ჟ.

# გიყვართ ჭორაობა?

**ტესტი**



***1. თქვენს შეფს მდივანთან რომანი აქვს, თქვენ:***

ა) არავის ეტყვით, ბ) მთელ სამსახურს მოსდებთ — 3, გ) მხოლოდ უახლოეს კოლეგებს ანდობთ საიდუმლოს — 5.

***2. ჭორაობა არის:***

ა) გადასარევი გასართობი საშუალება — 3, ბ) მხოლოდ დაბოღმილი ადამიანის საქმე — 2, შურისძიების საუკეთესო საშუალება — 5.

***3. თქვენი კოლეგა ძალიან მნიშვნელოვან საიდუმლოს განდობთ, თქვენ:***

ა) ბოლომდე შეინახავთ — 5, ბ) ყველას მოუყვებით — 3, გ) მიიჩნევთ, რომ თქვენი გამოცდა სურს — 2;

***4. საუბარში ხედავთ, რომ თქვენი მეგობარი მეტისმეტად აჭარბებს, თქვენ:***

ა) მაშინვე შეაწყვეტინებთ ლაპარაკს — 3, ბ) დაე, იტრაბახოს — 5, გ) ბოლომდე მოუსმენთ — 2.

**პასუხები**

**0-დან 10 ქულამდე:** თქვენი ნდობა ნამდვილად შეიძლება, ჭორაობა გიყვართ, მაგრამ ყოველთვის ხვდებით, რისი თქმა შეიძლება და რისი — არა. ბევრ თქვენს მეგობარს მოსწონს თქვენი ასეთი გაწონასწორებული ხასიათი და ცდილობენ, მოგბაძონ. იმდენად იხარჯებით სხვებისთვის, რომ საკუთარი პრობლემები გავიწყდებათ. არც სხვების მესაიდუმლეობა გიზიდავთ. ყოველთვის ცდილობთ, დაიცვათ ზღვარი და არასოდეს გადახვიდეთ მას. იცით, რომ ასეთი საქციელი ზედმეტ პრობლემებს არ შეგიქმნით.

**12-დან ზემოთ:** ნამდვილი ჭორიკანა ხართ. ყოველთვის გრძნობთ, რომ ჭორაობა თქვენი სტიქიაა და, თუ რაიმე ჭორი თვითონ არ გაიგეთ, თავად იგონებთ მათ. გარშემომყოფებს თქვენთან პირის გაღების ეშინიათ, იციან, რომ ელემენტარულ ამბავს გიგანტურ მოვლენად გადააქცევთ. ასეთი საქციელის გამო ხშირად კარგავთ საყვარელ ადამიანებს, თუმცა, რამდენიმედღიანი გლოვის შემდეგ იგი გავიწყდებათ და ახლის ძებნით ირთობთ თავს. თუ სხვა ღირებულებებით დაინტერესდებით, მიხვდებით, რომ ამქვეყნად ჭორაობაზე გაცილებით უკეთესი საქმეები არსებობს.

გ.თ.